# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 9 თებერვალი. 2023 წ. №16 (9548) ელ.ფოსტა: sakresp...mail.ru | ფასი 1 ლარი


## დაწინაურებული „მარტოხელა მგელი“

### MKD LAW: „კრედიტ სუისს“-ის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული აუხსნელი მოქმედებებისა და მოვლენების შესახებ ბატონ ივანიშვილს განზრახული აქვს, დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, რასაც მტაპოზრივად განახორციელებს




**„როგორ მიზანმიმართულად ანგრევს „კრედიტ სუისს“-ის მენეჯმენტი წლების განმავლობაში თავისივე ბანკისა და ნაქები შვეიცარიული საბანკო სისტემის იმიჯს“,** – ამ სათაურით იურიდიული ფირმა MKD Law საზოგადოებას უცვლელი სახით სთავაზობს ტექსტს, რომელიც, როგორც იურიდიული ფირმის მიერ გავრცელებულ წერილშია ნათქვამი, ბრიტანულმა მედიამ დაბლოკა და ფაქტობრივად, ცენზურას დაუქვემდებარა“.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, **„საერთაშორისო მკითხველისთვის უკვე კარგად არის ცნობილი იმ გლობალური დავის შესახებ, რომელსაც საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი შვეიცარიული საბანკო გიგანტის – ერთ დროს უმწიკვლო რეპუტაციის მქონე „კრედიტ სუისს“-ის წინააღმდეგ აწარმოებს. უცნაური და საგულისხმოა, რომ სწორედ ნაქებ შვეიცარიულ საბანკო სისტემაში გათამაშდა იმ მძიმე დანაშაულის ქრონიკა, რომელმაც მასზე თვალდახუჭულად მინდობილ კლიენტს მილიარდიანი ზარალი მიაყენა.**

იხ. 3 გვ.

## თუ უკრაინაში არ იბრძოლებთ, თბილისში ქუჩის ომს მიიღებთ!!! ⑤

## თავზეხელაღებული ბანდიტი და ტერორისტი დაკავებულია!



**შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2020 წლის 21 ოქტომბერს, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე მომხდარი თავდასხმისთვის ძებნილი პირი – 1988 წელს დაბადებული ბადრი ესებუა დააკავა. უწყების ცნობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად იძულების, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების, ასევე, ტერორისტული აქტის და ტერორისტული მიზნით მოქალაქეების მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტებზე 2020 წლიდან ძებნილი ბ.ე. სამეგრელოში დააკავეს. დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**„გამოძიებით დადგენილია, რომ 2020 წლის 21 ოქტომბერს, ცეცხლსასროლი იარაღითა და ხელყუმბარით შეიარაღებული ბ.ე. ქალაქ ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში შეიჭრა და იქ მყოფი პირები მძევლად აიყვანა. ბანკის ფილიალში მყოფი თავდამსხმელის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე ადგილზე მოხდა სამართალდამცველების მობილიზება და დაიწყო გადაუდებელი ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები. პოლიციის მიერ ჩატარებული შესაბამისი ღონისძიებების შედეგად, მოხდა მძევლების გათავისუფლება. დამნაშავე მიიმალა. დაკავების ადგილიდან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები.**

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 105 წლისაა!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 105 წლის იუბილეს ულოცავს.**

**„მთელი გულით ვულოცავ ჩემს ალმა-მატერს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 105 წლის იუბილეს.**

**საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ეროვნული იდეის გარშემო გაერთიანდნენ და ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობის საქმეს ჩაუყარეს საფუძველი – დააარსეს ევროპული სტანდარტების მქონე ეროვნული უნივერსიტეტი. სწორედ 8 თებერვალს, დიდი ქართველი მეფის – დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, სამხრეთ კავკასიაში დაფუძნდა პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც რეგიონში განათლების მთავარ კერად იქცა.**

**დაარსების დღიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვით, გარდამტეხი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტელისთვის, განსაკუთრებით საამაყოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღირსეულად აგრძელებს საუკუნოვან ტრადიციას და დღესაც უდიდესი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა თაობების განათლების საქმეში.**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გუნდი და პირადად მე, ყოველთვის ვდგავართ უნივერსიტეტის გვერდით და ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო მეტად შევუწყობთ ხელს მას ისტორიული მისიის შესრულებაში. კიდევ ერთხელ, სრულიად საზოგადოებას ვულოცავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს, განსაკუთრებით, უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას. მჯერა, რომ უნივერსიტეტის წიაღში კვლავაც აღიზრდებიან თაობები, რომლებიც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ასახელებენ და ჩვენი ქვეყნის განვითარებაში უდიდეს წვლილს შეიტანენ“,** – აცხადებს ჩხენკელი.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა, ღირსეულად ატაროს საქართველოს პირველი უნივერსიტეტის სახელი, ისტორიულ პირველობასთან ერთად შეინარჩუნოს პირველობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, მიეკუთვნებოდეს მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტთა რიცხვს, ხელი შეუწყოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო კეთილდღეობას.

## გილოცავთ! 88 გიული ჩოხელი – ჯაზის ქართველი დივა ⑦



№16. ხუთშაბათი, 9 თებერვალი, 2023 წელი.

# ირაკლი კობახიძე: „ფრი, ესებუა“!..



**რადიკალური ოპოზიციის მხრიდან ველოდებით კამპანიას „ფრი, ესებუა“!** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

კობახიძეს კითხვით მიმართეს, როგორ შეაფასებდა ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებას, რომ ხელისუფლება ბადრი ესებუას საკითხს გამოიყენებს იმისთვის, რომ საზოგადოებას ყურადღება გადაატანინოს. ირაკლი კობახიძის თქმით, იმედი აქვს, რადიკალური ოპოზიციის მხრიდან „ფრი ესებუას“ კამპანია დაიწყება.

**„აუცილებლად ველოდებით ამ კამპანიას. შემდეგ ესებუა როცა გამოაცხადებს შიმშილობას, ასევე ველოდებით საერთაშორისო მხარდაჭერას ესებუას მიმართ და ასე შემდეგ. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს“...**

# გიორგი გამსახურდია: გომელაური არის ყველაზე წარმატებული და ყველაზე კარგი მინისტრი



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი, გიორგი გამსახურდია „საქართველოს ბანკის“ ყაჩაღობაში ბრალდებულ ბადრი ესებუას დაკავებას ეხმიანება.

**„მშვიდობის და სამართლიანობის ხაზი, პირდაპირ გადის შსს-ზე. ჩემი 24-წლიანი სტაჟიდან გამომდინარე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვახტანგ გომელაური არის ყველაზე წარმატებული და ყველაზე კარგი მინისტრი. ყველაზე გამართული უწყებებია შსს და სუსი, ზუსტადაც მაგიტომ ერჩიან მავანნი ორივე უწყებას“**, – წერს გიორგი გამსახურდია.

# ბრიტანეთის მთავრობის ექსპერტები თავდაცვის სამინისტროში

**საქართველოში ვიზიტით დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლები იმყოფებიან. თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში დიდი ბრიტანეთის სამთავრობო დელეგაციას საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ უმასპინძლა.**

მათივე ინფორმაციით, ლელა ჩიქოვანმა ხაზგასმით აღნიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა და დიდი ბრიტანეთის მთავრობას საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარე საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს.






# ევროკავშირში ლტოლვილად ჩაბარება საქართველოს მოსახლეობის 3 პროცენტზე მეტმა სცადა

# ევროპის რომელ ქვეყანაში ითხოვენ თავშესაფარს სამშობლოდან წასული ქართველები?

**მხოლოდ ბოლო 8 წლის მანძილზე, ევროკავშირში თავშესაფარი საქართველოს 111 528-მა მოქალაქემ მოითხოვა, ანუ ყოველ 33 ადამიანში ერთმა. 2022 წელს საქართველოს მოსახლეობა 3 700 000-ზე ოდნავ ნაკლები იყო.**

ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურის, ევროსტატის მონაცემებით, **სულ 2014 წლიდან მოყოლებული საქართველოდან 126 770 თავშესაფრის მოთხოვნა დარეგისტრირდა. ეს რიცხვი მოიცავს მათაც, ვინც ევროკავშირსა და შვეიცარიაში ლტოლვილად ჩაბარებას ხელმეორედ ეცადა.**

**თითქმის 26 ათასმა ადამიანმა თავშესაფარი 2022 წლის იანვარ-ნოემბერში მოითხოვა. დეკემბრის მონაცემები ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ეს უკვე იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე ნებისმიერ სხვა წელს. წინა რეკორდი პანდემიამდელ 2019 წელს დამყარდა, როცა ლტოლვილობა 22 110-მა ადამიანმა გადაწყვიტა.**

მას შემდეგ, რაც ევროკავშირის ქვეყნებმა საკარანტინო შეზღუდვები გააუქმეს და საზღვრები გახსნეს, **თავშესაფრის მსურველთა რიცხვი სწრაფად მატულობს. ბოლოს ჩაბარების 1000-ზე ნაკლები მოთხოვნა ევროკავშირმა საქართველოს მოქალაქეებისგან 2021 წლის მაისში მიიღო – 910. რეკორდული თვე 2022 წლის ნოემბერია – 2805 მსურველი.**

ყველაზე ხშირად საქართველოს მოქალაქეები თავშესაფარს **საფრანგეთსა** და **გერმანიას** სთხოვენ. ბოლო 8 წელიწადში საფრანგეთში ლტოლვილად ჩაბარება თითქმის 36 ათასმა ადამიანმა სცადა, გერმანიაში კი – 33 ათასმა. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. მესამე ადგილზე მყოფ **იტალიაში** დარჩენა 7695 ადამიანს უნდოდა.

მას, ჩაბარების 6730 მსურველით, **საბერძნეთი** მოსდევს. ყველაზე საგრძნობლად გაიზარდა **ირლანდიაში** თავშესაფრის მსურველთა რიცხვი. ევროსტატის თანახმად, 2022 წელს ირლანდიაში დარჩენა სცადა 2545-მა ადამიანმა, იმაზე მეტმა, ვიდრე ჯამში 2014-2021 წლებში. ეს იმისდა მიუხედავად, რომ ირლანდია ევროკავშირის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ არ უშვებს.

**2022 წლის აგვისტოში, ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტომ (EUAA), უწყებამ, რომელიც აკვირდება და იკვლევს ლტოლვილებას მიღება-არმიღებას წევრი ქვეყნების მიერ, გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ.**

ანგარიშის ავტორები წერენ, რომ 2022 წელს ქართველები ლტოლვილად ჩაბარებას ცდილობენ უკრაინაში მიმდინარე ომის გამოც, რადგანაც საქართველოში თავს უსაფრთხოდ აღარ გრძნობენ.

რაც შეეხება მთლიანად მიგრაციას, მისი მამოძრავებელი მთავარი მიზეზები კვლავაც ეკონომიკურია. მაგალითად, უმუშევრობა და მაღალი ინფლაცია.

**„ქართველები ცდილობენ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ევროკავშირში დასაქმების გზით. გარდა ამისა, ბევრი ევროკავშირში სასწავლებლადაც მიდის, რათა შემდეგ უკეთესი კარიერა გაიკეთოს საქართველოში“**, – ნათქვამია ანგარიშში.

**სანდრო გვინდაძე,**
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.

# ვერ შეიფერეს ჩვენთან სტუმრობა!

## რომელი ქვეყნების მოქალაქეები გააძევეს საქართველოდან?




**როგორც შსს-ს საიტზე უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების სტატისტიკიდან ირკვევა, 2022 წლის განმავლობაში საქართველო უცხო ქვეყნების 165 მოქალაქეს დაატოვებინეს.**

„კომერსანტმა“ 2022 წლის სტატისტიკური მაჩვენებლები დააჯამა, საიდანაც ირკვევა, რომ შესაბამისმა უწყებებმა ქვეყნიდან ყველაზე მეტი **ირანის, თურქეთის** და **აზერბაიჯანის** მოქალაქეები გაუშვეს.

2022 წლის მაჩვენებლებით უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების სტატისტიკა ასე გამოიყურება: **ირანი – 29, თურქეთი – 25, აზერბაიჯანი – 21, ინდოეთი – 15, ნიგერია – 11, რუსეთი – 8 და სხვა.**

აღსანიშნავია, რომ **2021 წლის განმავლობაში საქართველოდან უცხო ქვეყნის 77 მოქალაქეა გაძევებული, ხოლო 2020 წელს კი – 49 უცხოელი. 2019 წლის სტატისტიკის მიხედვით ქვეყანა უცხოეთის 104 მოქალაქეს დაატოვებინეს.**

საქართველოდან უცხოეთის მოქალაქეების გაშვება რეგულირდება **„უცხოელის საქართველოდან გაძევების წესით“**, რომლის მიხედვითაც უცხოელის მიმართ გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის ამოწურვიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში. მისი აღსრულება შესაძლებელია განხორციელდეს ესკორტით ან ესკორტის გარეშე, საზღვაო, სახმელეთო ან საჰაერო გზით.

იმ შემთხვევაში, თუ გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში უცხოელი გამოთქვამს ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვების სურვილს, მას, შეძლებისდაგვარად, უნდა მიეცეს ამის საშუალება.

უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს იღებს გასაძევებელი პირი ან მისი მომწვევი პირი. უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ნაწილობრივ ან მთლიანად გაიღებს საქართველოს სახელმწიფო, თუ ხარჯების სხვაგვარი ანაზღაურება შეუძლებელია.

**უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან,**

**თუ: 1) იგი კანონიერი საფუძვლის გარეშე შემოვიდა საქართველოში; 2) აღარ არსებობს საქართველოში მისი შემდგომი ყოფნის კანონიერი საფუძველი; 3) საქართველოში მისი ყოფნა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ წესრიგს; 4) მისი საქართველოდან გაძევება აუცილებელია საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით; 5) იგი სისტემატურად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას; 6) მან საქართველოში შემოსვლის ან ყოფნის კანონიერი საფუძველი ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტის წარდგენით მოიპოვა; 7) მას განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს 1 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა – სასჯელის მოხდის შემდეგ; 8) მას შეფარდებული აქვს არასაპატიმრო სასჯელი – სასჯელის მოხდამდე, ან დანიშნული აქვს პირობითი მსჯავრი – გამოსაცდელი ვადის გასვლამდე.**

უცხოელი, რომელსაც ამოეწურა საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადა და ნებაყოფლობით ტოვებს ქვეყანას, ვალდებულია, საქართველოდან გასვლამდე ან გასვლის შემდეგ გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმა **(ჯარიმის ოდენობა კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვიდან 3 თვის განმავლობაში არის 180 ლარი, ხოლო 3 თვეზე მეტხანს ყოფნისას – 360 ლარი). ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში უცხოელზე არ გაიცემა საქართველოს ვიზა და მას უარი ეთქმება საქართველოში შემოსვლაზე, ვიდრე იგი არ გადაიხდის აღნიშნულ ჯარიმას. უცხოელს, რომლის მიმართაც განხორციელდა გაძევების იძულებით აღსრულება, ჯარიმის დაკისრებასთან ერთად, აეკრძალება საქართველოში შემოსვლა 2-დან 5 წლამდე ვადით.**



**იმის ნაცვლად, რომ ამ დანაშაულთა უშუალო განმახორციელებელი, ბანკის მიერ დღეს „მარტოხელა მგლად“ შერაცხილი პატრის ლესკადონი დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ბანკიდან, ჩაეტარებინათ მისი სამუშაოს რევიზია და მიემართათ პროკურატურისთვის, ამის ნაცვლად წარმოდგენაც კი გაგიჭირდებათ, თუ რას აკეთებდა ბანკის მენეჯმენტი: პატრის ლესკადონი დაწინაურდა და იღებდა კოლოსალურ ბონუსებს.**

# დაწინაურებული „მარტოხელა მგელი“

(პირველი გვერდიდან) „უწინ, ალბათ, ვიფიქრებდით, რომ არათუ „კრედიტ სუისს“-ი, არამედ ნებისმიერი შვეიცარიული, თუ, ზოგადად, ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის თავმოყვარე ბანკი და მისი მენეჯმენტი პირველი რასაც ასეთ სიტუაციაში შეეცდებოდა, კლიენტისთვის მობოდიშება და მისი ზიანის ანაზღაურებაზე ზრუნვა იქნებოდა. თუკი თქვენც ასე ფიქრობდით, მაშინ თქვენთვის დიდი იმედგაცრუება იქნება იმის გაგება, რომ კლიენტს არც ბოდიში მიუღია, არც ანაზღაურება, არც სათანადო მოპყრობა, არც შვეიცარიული მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერა და არც შვეიცარიული საბანკო მარეგულირებლის რაიმე გადამჭრელი მოქმედება. ყველაფერი ზედმიწევნით ამის საწინააღმდეგოდ მოხდა. სწორედ ამის შედეგია, რომ ბატონი ივანიშვილი უკვე 7 წელია (2016 წლიდან) სხვადასხვა დროს აწარმოებდა და აწარმოებს სასამართლო დავებს ახალ ზელანდიაში, სინგაპურში, ბერმუდაზე, გერნსის კუნძულებზე (დავა საბანკო ტრასტის გაუქმებასა და თანხის გადარიცხვაზე ბენეფიციარისთვის) და უშუალოდ შვეიცარიაშიც – ანუ ყველა იმ იურისდიქციაში, სადაც „კრედიტ სუისს“-ის მენეჯმენტმა შეგნებულად განფინა და მიმოფანტა კლიენტის მიერ განთავსებული თანხები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბერმუდას სასამართლოს პირველმა ინსტანციამ ბანკის სადაზღვევო შვილობილ კომპანიას 607 მილიონი აშშ დოლარი დააკისრა, ხოლო სინგაპურის სასამართლოს პირველი ინსტანცია, სადაც მოთხოვნა 800 მილიონ აშშ დოლარს აღემატება, დასასრულისკენ მიდის და მოსარჩელეს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს.

იმისთვის, რომ სტატიაში მოცემული გარემოებები უკეთ იყოს აღქმადი, მკითხველს მოკლე ექსკურსს შევთავაზებთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა გარემოებები უძღოდა წინ ხსენებულ დავებს, რაც მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ არათუ ახლა, არამედ უკვე მრავალი წელია „კრედიტ სუისს“-ის მენეჯმენტი შეგნებულად ანგრევს თავისივე ბანკის იმიჯს, რასაც ეწირება მთელი შვეიცარიული საბანკო სისტემის და, გნებავთ, სახელმწიფოს რეპუტაციაც – სახელმწიფოსი, რომლის სავიზიტო ბარათი უკვე საუკუნეებია არის დაცული და შეუვალი საბანკო სისტემა – სამოთხე ყველა დეპოზიტარისთვის თუ ინვესტორისთვის.

**სწორედ შვეიცარიული საბანკო სისტემის ამგვარმა რეპუტაციამ გადააწყვეტინა ბატონ ივანიშვილს 2000-იანების გარიჟრაჟზე, რომ თავისი აქტივების დომინანტური ნაწილი „კრედიტ სუისს“-ში განეთავსებინა. თითქოსდა სად, თუ არა შვეიცარიაში იგრძნობდა თავის ქონებასა და სამკვიდროს დაცულად ნებისმიერი მსხვილი ბიზნესმენი. სწორედ ამ იმიჯით გამყარებული ზურგით წარსდგა მაშინ ბატონი ივანიშვილის წინაშე ბანკის წარმომადგენელი და შესთავაზა თავისი მარწმუნებელი ბანკი, „კრედიტ სუისს“-ი, როგორც უალტერნატივო არჩევანი. მაშინ ბანკმა კლიენტს თანხის განთავსების სხვადასხვა მეთოდები შეურჩია, რადგან მათივე რეკომენდაციითა და გადაწყვეტილებით, ამგვარად კლიენტის აქტივები ყველაზე უკეთ იქნებოდა დაცული. სწორედ ბანკის მიერ დაქსელილ სქემებში, სატრასტო სტრუქტურებსა და სიცოცხლის დაზღვევის პოლისებში უწევს კლიენტსა და მის იურისტებს გარკვევა და თავის დახსნა აწ უკვე 7 წელია. თუმცა, ქსელები ისე მჭიდროდ და რთულად არის აწყობილი, რომ, როგორც ჩანს, კლიენტი მასში რომ აღმოჩნდება, თავის დაღწევა რთული, ხოლო ზოგჯერ – პრაქტიკულად შეუძლებელი ყოფილა“** – ნათქვამია სტატიაში.

აქვე აღნიშნულია, რომ ბანკის მენეჯმენტის მხრიდან ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ განხორციელებული მოქმედებები წარმოუდგენელ ხარისხს აღწევს. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ „კრედიტ სუისს“-ის მენეჯმენტი არათუ მათთან არსებულ თანხას, არამედ კლიენტის მიერ დავების დაწყების შემდეგ სხვა შვეიცარიულ ბანკში გადატანილ, თუმცა „კრედიტ სუისს“-ის ტრასტის მართვის ქვეშ დარჩენილ აქტივებსაც კი არ ატანს მას. აღნიშნულ საკითხზე მკითხველს ცალკე ვრცლად ეცნობება.

**„კლიენტისთვის ბანკში მის წინააღმდეგ მომხდარი დანაშაულების შესახებ 2015 წელს გახდა ცნობილი, როდესაც მან საკუთარი აქტივების განკარგვა გადაწყვიტა... განიზრახა, თუმცა ანგარიშებზე საკმარისი თანხა არ აღმოჩნდა. მანამდე მან თავის ანგარიშებზე კოლოსალური დანაკლისების შესახებ არ იცოდა და ვერც ეცოდინებოდა, რადგან ბანკის მენეჯმენტი მას 2008 წლიდან მოყოლებული გაყალბებულ რაპორტებს აწვდიდა, სადაც უკვე არარსებული ციფრები იყო „დახატული“. საგულისხმოა, რომ ამას ერთი პირი ვერ გააკეთებდა, რადგან კლიენტისთვის მიმდინარე ინფორმაციის გასაცნობად და სამომავლო გეგმების შესახებ ზოგადი მონახაზის გასაკეთებლად საქართველოში ბანკის მენეჯმენტის რამდენიმე წარმომადგენელი ჩადიოდა ხოლმე. სწორედ მაშინ, 2015 წელს, კლიენტის აქტიური მოქმედების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ პირდაპირი ზიანი მილიარდ აშშ დოლარამდე იყო“** – ნათქვამია სტატიაში.

**სტატიის თანახმად, აქ საინტერესო და ხაზგასასმელი ის არის, რომ ბატონი ივანიშვილი პირველი არ იყო, ვინც ბანკის წიაღში მიმდინარე დარღვევის შესახებ შეიტყო. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამ ყველაფრის შესახებ ბანკის მენეჯმენტმა დიდი ხნით ადრე და დეტალურად უწყოდა.**

„ახლა იმის შესახებ, თუ საიდან ფლობს კლიენტი ამ ინფორმაციას: მას შემდეგ, რაც 2015 წელს ბანკის მენეჯმენტი იძულებული გახდა თვალი გაესწორებინა დანაშაულისთვის და დასწრებაზე, მოჩვენებითი პროაქტიურობით მიემართა პროკურატურისთვის, „კრედიტ სუისს“-ის საქმიანობის შესწავლა დაიწყო შვეიცარიულმა საბანკო მარეგულირებელმა FINMA-მ. FINMA-ს ანგარიში ვრცელი, დაახლოებით, 300-გვერდიანი დოკუმენტია და იგი, დიდწილად, სწორედ ბატონი ივანიშვილის მიმართ ჩადენილ დარღვევებს ეხება. მოცულობის გამო, ცხადია, აქ არ შევუდგებით ანგარიშის დეტალურ აღწერას, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ ანგარიშის მიხედვით: ბატონი ივანიშვილის ანგარიშებზე მასირებული და დანაშაულებრივი შეტევა 2008 წლიდან დაიწყო. ამ დროიდან ხდებოდა მისი ხელმოწერების გაყალბება, არაავტორიზებული გადარიცხვები, ყოველგვარ ფინანსურ და ეკონომიკურ ლოგიკას მოკლებული და პირდაპირ კანონსაწინააღმდეგო ინვესტიციები (მათ შორის, საუბარია დასაშვები აქციათა შესყიდვის ლიმიტების რამდენჯერმე გადაჭარბებაზე და სხვა). ამ ყველაფრის შესახებ ბანკის აუდიტის სისტემას განგაშის ზარი ჰქონდა ატეხილი და მხოლოდ ერთი ტიპის დარღვევაზე 135 შეტყობინება (ე.წ. „წითელი დროშა“) გაუგზავნა ბანკის მენეჯმენტს. იმის ნაცვლად, რომ ამ დანაშაულთა უშუალო განმახორციელებელი, ბანკის მიერ დღეს „მარტოხელა მგლად“ შერაცხილი პატრის ლესკადონი დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ბანკიდან, ჩაეტარებინათ მისი სამუშაოს რევიზია და მიემართათ პროკურატურისთვის, ამის ნაცვლად წარმოდგენაც კი გაგიჭირდებათ, თუ რას აკეთებდა ბანკის მენეჯმენტი: პატრის ლესკადონი დაწინაურდა და იღებდა კოლოსალურ ბონუსებს. ეს FINMA-ს ანგარიშით დადასტურებული ფაქტების კონსტატაციაა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბანკის მენეჯმენტი წლების განმავლობაში ყველა ღონეს მიმართავდა შვეიცარიის პროკურატურასა და სასამართლოში, რომ FINMA-ს ანგარიში დახურულ დოკუმენტად დარჩენილიყო და მისი გაცნობის უფლება საზოგადოებას არ მისცემოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ანგარიში „კრედიტ სუისს“-ის მიერ დაზარალებულთა ვებგვერდზე დაიდო, „კრედიტ სუისს“-მა ლონდონის სასამართლოს მიმართა ანგარიშის შესაძლო გამსაჯაროვებელთა წინააღმდეგ. ბანკის მენეჯმენტმა, რომელიც ყველა ეტაპზე ბანკის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, ისიც კი ვერ ან არ მოისაზრა, რომ ბანკის მოქმედებათა შესახებ ინფორმაციის შემცველი ანგარიშის გააფთრებული დაცვა საზოგადოებისგან, წაუკითხავადაც კი პირდაპირი დასტური იყო იმისა, თუ რა გაუგონარი დარღვევები ტრიალებდა ბანკში.

ყველაფერს, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მივყავართ მარტივ და ცხად ანალიზამდე: **ბანკის მენეჯმენტმა სულ მცირე 2010 წლიდან იცოდა დარღვევების შესახებ. შესაბამისად, ბანკის მენეჯმენტმა იცოდა იმის შესახებაც, რომ კლიენტის ანგარიშზე თანხების კოლოსალური დანაკლისი იყო. ბანკის მენეჯმენტმა იცოდა, რომ ეს დანაკლისი თავისით ვერ შეივსებოდა. ამის პარალელურად, მენეჯმენტი არათუ ქმედებებისა და შედეგების აღკვეთით არ დაკავებულა, არამედ პრემიებით ახალისებდა დანაშაულის უშუალოდ ჩამდენს და ამით უზრუნველყოფდა დანაშაულის წახალისებას.** შესაბამისად, მენეჯმენტმა იცოდა ისიც, რომ კლიენტი ადრე თუ გვიან გაიგებდა რეალური მდგომარეობის შესახებ. ამგვარი დანაკარგი სამუდამოდ დაფარული ვერ დარჩებოდა. დიდი განსჯა არ სჭირდება იმას, რომ მენეჯმენტმა იცოდა, რომ ბატონი ივანიშვილი თავისი უფლებების სასამართლოს გზით დაცვას შეეცდებოდა და იმის შესახებაც, რომ ამგვარი გლობალური მასშტაბის დავა უშუალოდ „კრედიტ სუისს“-ისა და მთლიანი შვეიცარიული საბანკო სისტემისთვის უდიდესი რეპუტაციული ზიანის მომტანი იქნებოდა. გარემოებები და ლოგიკა მიუთითებს, რომ ეს ყველაფერი გეგმაზომიერი პროცესი იყო, რომელსაც ორი დაზარალებული ჰყავს: პირველი, ცხადია, უშუალოდ კლიენტი, რომელსაც მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მიადგა, ბანკის მენეჯმენტის მცდელობებით დღესაც შეზღუდული აქვს წვდომა თავისი ფინანსური რესურსის მნიშვნელოვან ნაწილზე და უკვე ერთი წელია ექვემდებარება პირდაპირ პოლიტიკურ შანტაჟს. მაგრამ, მეორე და, შეიძლება მთავარიც, თავად „კრედიტ სუისს“-ი, რომლის რეპუტაციაც დღეს ნულს ქვემოთ არის დაცემული. ეს მაშინ, როდესაც ბანკი და საბანკო სისტემა სხვა არაფერია, თუ არა იმიჯი და ათწლეულების განმავლობაში გამომუშავებული ნდობა ბიზნესის, დეპოზიტარებისა და ინვესტორების მხრიდან. სწორედ აქედან ჩანს, რომ ბანკის მენეჯმენტი მოქმედებდა და მოქმედებს თავად „კრედიტ სუისს“-ისა და საბანკო სისტემის ინტერესების წინააღმდეგ, მისი დაზიანების პირდაპირი განზრახვით.

**ყველაზე უცნაური აქ ის არის, რომ 2010 წლიდან მოყოლებული, ბანკის მენეჯმენტი რამდენჯერმე შეიცვალა არსებითად და ძირფესვიანად, მაგრამ ამ ფონზე ბანკის ხელწერა უცვლელი და სტაბილური იყო და არის. მიდიოდა და მიდის შეგნებულად ბანკის დაზიანება. დღესაც ბანკის მიმდინარე მენეჯმენტის მიერ ხორციელდება არაერთი ენით აღუწერელი და აუხსნელი ქმედება, რომელსაც, ერთი მხრივ, ბანკისთვის არანაირი ფინანსური ან სხვა ტიპის სარგებელი არ მოაქვს, ხოლო, მეორე მხრივ, რომელიც სამართლებრივი და საიმიჯო (პიარული) კუთხით უდიდესი და განგრძობადი დარტყმის ქვეშ ამყოფებს ბანკს. მიმდინარე დავების კვალდაკვალ, ბანკის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული სწორედ ამ აუხსნელი მოქმედებებისა და მოვლენების შესახებ აქვს განზრახული, ბატონ ივანიშვილს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, რასაც ეტაპობრივად განახორციელებს კიდეც“**, – ნათქვამია სტატიაში.



## ლაშა კალანდაძე: CREDIT SUISSE ხავსს ეჭიდება!

**CREDIT SUISSE -ის მენეჯმენტი ცდილობს, ხავსს მოეჭიდოს, თუნდაც არარსებულს, ოღონდ როგორმე მოახერხოს, რომ მინიმუმ შეძლოს ბანკის პასუხისმგებლობის დროში გადაწევა,** – ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი ლაშა კალანდაძე სოციალურ ქსელში წერს.

„წარმოგიდგენთ ჩემი, როგორც ადვოკატის, მოსაზრებას ბიძინა ივანიშვილი vs Credit Suisse საქმეებთან დაკავშირებით:

აღნიშნულ საქმეებში იურისტთა გუნდს შევუერთდი მოგვიანებით. დღეის მდგომარეობით ყველა საქმეს ვიცნობ დეტალურად: თვალყურს ვადევნებდი საქმეების განხილვას ბერმუდის სააპელაციო ინსტანციაში, აგრეთვე – სინგაპურის პირველი ინსტანციის სასამართლოში.

საზოგადოებაც სრულად არის ინფორმირებული ძირითადი არსის შესახებ და იცის კიდეც, რომ ბანკის მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ქმედებით ზიანი მიადგა მოსარჩელეებს: ბიძინა ივანიშვილს, მის ოჯახს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს.

ამიტომაც ყურადღებას არ გავამახვილებ მიმდინარე საქმეთა შინაარსზე, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ მოსარჩელეებმა წარმატებას აუცილებლად უნდა მიაღწიონ: ობიექტურ და სამართლიან გარემოში სხვა დაშვების გაკეთების წინაპირობა თეორიულადაც კი არ შეიძლება არსებობდეს.

აქცენტს გავაკეთებ მხოლოდ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით:

(1) როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, Credit Suisse თითქმის 2008 წლიდან სისტემატურად უკანონო, შეიძლება ითქვას, დანაშაულებრივი ქმედებებით ზიანს აყენებდა ბიძინა ივანიშვილს, მის ოჯახსა და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს.

რთულად წარმოსადგენია, მაგრამ რეალობა არის ასეთი: წლების განმავლობაში ხდებოდა დოკუმენტებით მანიპულირება, ხელმოწერების გაყალბებაც კი, არაფერს ვამბობ არაავტორიზებულ/უნებართვო გადარიცხვებსა და მოსარჩელეებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებაზე.

იხ. 6 გვ.





## როდესაც ლენინს ფსიქიკური აშლილობა დაეწყო, ისიც იძახდა, რუსი პოლიტიკოსი არ ვარ, გამიშვით სორენტოში, იქ უნდა დავიმარხოო

## ვახტანგ მაისაია:

# ისედაც არ იყო სააკაშვილი თავის „მოტორზე“, ისედაც შლეგი ადამიანი იყო...

**რატომ ლობირებს დღემდე „ქართული ოცნება“ დამნაშავეებს, რომლებიც სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის დროს არანაკლებ დანაშაულს სჩადიოდნენ, ვიდრე მათი ლიდერი? როგორია მიშა სააკაშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტი – სიმულანტი თუ ფსიქიკურად დაავადებული პოლიტიკოსი? გადაუხადა თუ არა სამაგიერო ვანო მერაბიშვილმა თავის ბოსს? – ამ და სხვა საინტერესო თემებზე for.ge-სთან საუბრობს ყოფილი პოლიტპატიმარი, ანალიტიკოსი, მკვლევარი და ექსპერტი ვახტანგ მაისაია.**



**– ცალკეულ ადამიანებს მოსწონთ კიდეც, რომ მიშა ასე თავდადებით იბრძვის თავისუფლების მოსაპოვებლად, მათ შორის, იბრძვის უღირსი მეთოდებითაც, სიმულაციით, საჭმლის არმიღებით, შიმშილობით... როგორ ფიქრობთ, თავისუფლების მოპოვება ყველა მეთოდით გამართლებულია?**

– პოლიტპატიმრებისთვის მთავარია, ყველა დამნაშავე დაისაჯოს, როგორც მიშა, ასევე, უსამართლო მოსამართლეები, გამომძიებლები, რომელსაც „ქართული ოცნება“ დღემდე ლობირებს. მიშას დროს თუკი ავტოკრატიული რეჟიმი იყო, დღეს არის ჰიბრიდული რეჟიმი, ამ მხრივ პოლიტპატიმრებისთვის არაფერი შეცვლილა. მე ამას ვუყურებ იუმორისტულ-სატირისტული ჟურნალ „ნიანგის“ თვალებით, როგორც მკვლევარი, ექსპერტი და, განსაკუთრებით, პოლიტპატიმარი. ცხადია, ამ ფაქტის შეფასებისას სუბიექტური ვიქნები, როგორც ყოფილი პოლიტპატიმარი. ჩემთვის ორივე ავტოკრატიული რეჟიმია, რადგან ორივე შემთხვევაში, არიან ის მწამებლები, რომლებიც გვაწამებდნენ პატიმრებს.

ჩვენთვის, პოლიტპატიმრებისთვის, მნიშვნელობა არ აქვს პატიმრობაში სააკაშვილი იქნება, თუ მურუსიძე-ჩინჩალაძის ჯალათი მოსამართლეები, რომლებსაც უსამართლო განაჩენები გამოჰქონდათ. თუკი სამართლიანობის აღდგენა უნდათ, თანაბრად უნდა დაისაჯონ როგორც ჯალათი მოსამართლეები, ასევე სუსში მოკალათებული ჯალათები, გამომძიებლები და ოპერატიული თანამშრომლები. შესაძლოა, უსამართლობის ჩადენას სააკაშვილი მათ უშუალოდ არ ავალებდა, მაგრამ მიშასთვის რომ მოეწონებინათ თავი, ყველაფერს კადრულობდნენ. რა მნიშვნელობა აქვს სააკაშვილი იქნება, ზუმბაძე, თუ ოთარ ორჯონიკიძე, პოლიტპატიმრებს მიშა კი არ გვაწამებდა უშუალოდ, არამედ ეს ადამიანები გვაწამებდნენ. რაც შეეხება მიშას, მას უკვე მიეზღო.

**– როგორც „ვივამედის“ მესვეურები ირწმუნებიან, ორგანიზაცია „ემპათიის“ რეკომენდაციითაა შედგენილი სააკაშვილის მეტად მწირი მენიუ, რომლითაც ექსპრეზიდენტის სიგამხდრე და დასუსტებული ვიზუალი გარანტირებულია. როგორ ფიქრობთ, მსგავსი ორგანიზაციები ასეთი შეთქმულების თეორიებით უნდა დაკავდნენ? თქვენი პატიმრობის დროს „ემპათია“ რაიმე სასარგებლოს აკეთებდა ნაწამები პატიმრებისთვის?**

– როდესაც პოლიტპატიმრები გამოუშვეს ციხიდან, მაშინ არ იჩენდა იმ ნაწამები პატიმრების მიმართ მზრუნველობას „ემპათია“, აბსოლუტურად განდგომილ მდგომარეობაში იყო, ეს არის პოლიტიზირებული გაერთიანება. ძალიან კარგად ვიცი, რამდენმა პოლიტპატიმარმა მიმართა „ემპათიას“ 2013-14 წლებში, მაგრამ მათ არავინ დაეხმარა, არადა, იმ ადამიანებს მართლაც სჭირდებოდათ ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, წამების ფაქტების დაფიქსირება, სჭირდებოდათ მკურნალობა, შესაძლოა, არსებობენ გამონაკლისი პატიმრები, მაგრამ მე არ მინახავს პოლიტპატიმარი ჩემ გარშემო, რომელსაც „ემპათიამ“ დახმარება გაუწია.

საკმაოდ სერიოზული ურთიერთობა მაქვს ჩემს კოლეგებთან, რომლებმაც სააკაშვილის ციხე გაიარეს, მაგრამ „ემპათიისგან“ სიკეთის მარცვალი მათთვის არ დაფიქსირებულა. არ ვიცი ახლა „ემპათია“ სააკაშვილს რატომ უდგება თავდებში და ასე მზრუნველობს მასზე, შეიძლება „გამოსწორდა“ უკვე ეს ორგანიზაცია. პირადად მე როდესაც 60-დღიანი შიმშილობა დავასრულე და ლამის სიკვდილის პირას ვიყავი, მცირეკალორიული საკვების მიღება მიწევდა. დიდი კალორია რომ მიმეღო, ამას შეიძლება ლეტალური დასასრული გამოეწვია.

როგორც ჩანს, სააკაშვილს კუჭ-ნაწლავის პრობლემები გააჩნია. არ ვიცი, იგი რეალურად შიმშილობდა თუ არა, მაგრამ აქ ფსიქოლოგიურ აშლილობასთანაც უნდა გვქონდეს საქმე. ისედაც არ იყო სააკაშვილი თავის „მოტორზე“, ისედაც შლეგი ადამიანი იყო, შეიძლება ახლა კომპლექსური დაავადების რეციდივები გამოუვლინდა.

**– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი თვითდაზიანებას მიმართავს? მეუფე ნიკოლოზი ამბობს, სააკაშვილის თვითდაზიანების ოდნავი ეჭვი რომ ჰქონდეს, არავითარ შემთხვევაში, არ აზიარებდა, რადგან თვითდაზიანება არაქრისტიანული საქციელია და თვითმკვლელობას ნიშნავს.**

– არა მგონია, სააკაშვილი ახლა თვითდაზიანებას ეწეოდეს, უბრალოდ, მას აქვს ფსიქოლოგიური აშლილობა, მას კლინიკურ სტადიაში გადასული ციხის დაავადება აქვს. არსებობს ციხის დაავადება, ამას ე.წ. გონკებს უწოდებენ, ეს დაავადება იმ პატიმრებს უვითარდებათ, რომელთაც დაკარგული აქვთ ყოველგვარი იმედი, რომ გათავისუფლდებიან, რომელთაც პატიმრობის საკმაოდ მაღალი ვადა აქვთ შეფარდებული. „გონკები“ ყველას ჰქონდა, ვისაც სასჯელის მაღალი ვადა მიუსაჯეს. როგორც ჩანს, მიშას გადაეწურა პატიმრობიდან გათავისუფლების იმედი და ფსიქოლოგიური აშლილობაც ამიტომ დაემართა.

**– ანუ თქვენ არ თვლით, რომ მიშა სიმულანტობს და განგებ არ იღებს საკვებს, როგორც „ვივამედის“ ექიმები გვარწმუნებენ?**

– მიშა ისეთ მდგომარეობაში არ არის, რომ ისიმულანტოს, ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, თუმცა ამაზე თავს ვერ დავდებ. ზოგადად, სააკაშვილი კარგი მანიპულატორია და ყველაფერზე შეიძლება წავიდეს, მაგრამ, მე მგონი, მიშას მართლაც გადაეწურა ყოველგვარი იმედი, რომ მას გაათავისუფლებენ და მას განუვითარდა ციხის დაავადება.

**– „ვივამედის“ გენერალური დირექტორი ნინო ნადირაძე ამბობს, რომ მიშას თავისუფლების გასაღები შიმშილობა ჰგონია, ანუ თუკი იშიმშილებს, კალორიებს დაიკლებს, იქნებ პატიმრობას თავი დააღწიოს. თქვენი აზრით, სად არის სააკაშვილის თავისუფლების გასაღები?**

– ზოგადად, ადამიანები შიმშილობენ მაშინ, როცა მიიჩნევენ, რომ მათთვის გამოტანილი განაჩენი უსამართლოა. წინა რეჟიმის დროს უამრავი პატიმარი სწორედ უსამართლობის გამო შიმშილობდა. რაც შეეხება სააკაშვილს, მის თავს რაც ხდება, აქ რამდენიმე მომენტია: პირველი, მან დაკარგა პოლიტიკური წონა საქართველოში და მისი რეიტინგი ისეთია, როგორც ლენინის რეიტინგი იყო 1923-24 წლებში; მეორე, სააკაშვილმა დაინახა, რომ მის გადასარჩენად არავინ გამოდის, თავისიანებმაც კი გაყიდეს და შიდა მხარდაჭერა არ გააჩნია. ამიტომაც გააკეთა განცხადება, უკრაინელი მოქალაქე ვარ და ჯობია, ჩემი გული უკრაინაში დაიმარხოსო. მან, როგორც ქართველმა პოლიტიკოსმა, ნეკროზი განიცადა. ის უკვე ქართველ პოლიტიკოსად არ მოიაზრება საქართველოში.

**– ხაზეიშვილმაც გამოიყენა მისი ფაქტორი?**

– ხაზეიშვილი მარიონეტია, აქ მთავარია ვანო მერაბიშვილი და კეზერაშვილი. კეზერაშვილიც მაინცდამაინც არ გამოირჩევა მაღალი ინტელექტით, პოლიტიკური კულტურით. აქ უფრო მეტად ვანო მერაბიშვილის საკითხია, რომელმაც გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება მიიღო. მართალია, პოლიტიკურად იდიოტია მერაბიშვილი, მაგრამ სხვებთან შედარებით „ნორმალური იდიოტია“, ანუ ჩვენი იდიოტი მაინც არის.

**– ისე, მერაბიშვილმა ერთ რამეს გაუსვა ხაზი, როცა პატიმრობაში ვიყავი, მაიძულებდნენ, სააკაშვილისთვის დამედო ხელი, მაგრამ ეს არ გავაკეთეო. საინტერესოა, ახლა მოიცალა მერაბიშვილმა სააკაშვილზე შურის საძიებლად?**

– რატომაც არა, ახლა მოიცალა, „შურისძიება ისეთი კერძია, რომელიც ცივად უნდა მიირთვა“. ვანო მერაბიშვილმა სწორი ტაქტიკა აირჩია, მიშა გაწირა და გაუხსენა დაპირისპირების ყველა ნიშა.

**– მაგრამ ციხეში მყოფმა მერაბიშვილმა არ დაარტყა იმ პერიოდში თავისუფლებაზე მყოფ სააკაშვილს. ამით მერაბიშვილს მამაცობის წარმოჩენა სურდა?**

– ციხეში ყოფნისას რომ დაერტყა მიშასთვის, აზრიც არ ჰქონდა. ამით ვანო მერაბიშვილის პოლიტიკური ეფექტი დაიკარგებოდა. მერაბიშვილი დაკარგავდა იმ კაპიტალს, რომელიც უნდოდა, რომ ჰქონოდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ სიამაყით განაცხადა, მე ხელი არ დავადე სააკაშვილსო. ეგ კი არა, „ქართული ოცნებაც“, მე მგონი, უცხადებდა ლატენტურ სოლიდარობას მერაბიშვილს, რომ, აი, ვანომ ვაჟკაცურად მოიხადა სასჯელი. რაში სჭირდებოდათ ვანოს შექება, ვანოს ხომ იმაზე მეტი სასჯელი არ მისცეს, რაც ეკუთვნოდა. 20 წელი მაინც უნდა მიეცათ ჯაშუშობაზე, რუსული გავლენების გამო, პლუს, ადამიანების მკვლელობების ორგანიზებაზე. ეს „ქართული ოცნების“ სინდისზე იყოს.

**– სააკაშვილის ანდერძსაც შევეხოთ. მისმა ნათქვამმა საფრანგეთში, ლევილის მამულში დაკრძალული ქართველი ემიგრანტის – კოკი დადიანის ეპიტაფია გამახსენა: „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“. სააკაშვილის ე.წ. ანდერძი ქართული სინამდვილიდან ამოვარდნილია, ზოგადად, ეს ანდერძი რა მოვლენაა, რომ მისი გული უკრაინაში დაიმარხოს?**

– ამ ნათქვამითაც გრძელდება მიხეილ სააკაშვილის ლენინიზაცია. მოდით, ეს ტერმინი – „სააკაშვილის ლენინიზაცია“ შემოვიღოთ. სხვათა შორის, ლენინიც ამბობდა, მე რუსი პოლიტიკოსი არ ვარო. ბოლოს იმასაც ამბობდა, სორენტოში გამიშვითო. როდესაც დაეწყო შეტევები, ეპილეფსია, რეალური ფსიქიკური აშლილობა და ღია შიზოფრენიის ნიშნები, ლენინი იძახდა, გამიშვით იტალიაში, სორენტოში, გამიშვით საფრანგეთში, იქ უნდა დავიმარხოო. სააკაშვილი ანდერძითაც ჰგავს ლენინიზაციის დაწყების პროცესს.

**– შეიძლება, სააკაშვილი არც ფიქრობს სიკვდილზე და ანდერძი საზოგადოებისთვის თავის შესაცოდებლად დასჭირდა.**

– არც ეს არის გამორიცხული. სხვათა შორის, ფსიქიკურად აშლილ ადამიანებს სიმულაცია შეუძლიათ, მათ ძალიან კარგი აქტიორული ნიჭი უვითარდებათ. ეს კიდევ უფრო ამყარებს ჩემს ვერსიას, რომ ეს მდგომარეობა მიხეილ სააკაშვილის ლენინიზაციას მაგონებს.

**მანანა ნოზაძე**

# უსაქმური პროვოკატორები ხალხს აღიზიანებენ!



**მიხეილ სააკაშვილი დავით კეზერაშვილის რევოლუციური კომიტეტის აშკარა მძევალია. სააკაშვილის ციხიდან დახსნის მცდელობის პირველი გეგმა ჩავარდა და როგორც აღმოჩნდა, ლევან ხაბეიშვილს სააკაშვილის გამოხსნა ხალხის დახმარების გარეშე მოუწევს, რადგან მთავრობის ადმინისტრაციასთან 7 თებერვალს დაანონსებულ აქციაზე პარტიის მხარდამჭერებიც კი არ მივიდნენ. ხაბეიშვილის მუქარა რომ ღარიბაშვილს მოსვენებას არ მისცემდნენ, ტყუილი ქადილი აღმოჩნდა, რადგან ხალხს დასვენება თავად ნაციონალებისგან სურს. პარტიის ბელადის დასახსნელად თავს მათივე მომხრეებიც კი არ იწუხებენ. რაც შეეხება პარლამენტის ბოიკოტს, ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ეს თავად პარტიას დააზიანებს და დასავლეთიდანაც ეს იდეა მხარდაჭერილი არ იქნება, მათი რეიტინგი კიდევ უფრო დაეცემა და პარტიის დისკრედიტაცია ყველა მიმართულებით გარდაუვალია.**

აქციაზე მისულმა „ნაციონალური მოძრაობის" ახალმა თავმჯდომარემ, კომენტარი მხოლოდ მედიასთან გააკეთა და არა ტრიბუნიდან. მისი თქმით პარტია გაჩერებას არ აპირებს, ხოლო საზოგადოებას ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ქალაქში, კონკრეტულ ლოკაციებზე, საათებისა და დღეების მიხედვით, აქციები სად გაიმართება.

8 თებერვლიდან პროტესტი იქნება ყველგან, მათ შორის, დედაქალაქში, მათ შორის, **ბიძინა ივანიშვილის, ირაკლი ღარიბაშვილის, რატი ბრეგაძის** სახლებთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან.

ხელისუფლების აზრით, ოპოზიციამ არჩევანი უნდა გააკეთოს, ხაბეიშვილისა და სანიკიძის მთავარსარდლობით თბილისის ქუჩებში გამოვიდნენ და უფრო შეაძულონ თავი საზოგადოებას, თუ არჩევნებისთვის დაიწყონ მზადება. პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა, **გია ვოლსკიმ** სოციალურ ქსელში დაწერა, რომ საქართველო ვერა, მაგრამ თავად სააკაშვილი კი მართლაც აქციეს კეზერაშვილის შექმნილი რევოლუციური კომიტეტის მძევლად.

**– საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში არსებული ყველა ნიუანსი სააშკარაოზეა გამოტანილი. კითხვებიც აღარ რჩება, ახლა შესაფასებელი მხოლოდ ისაა, ვინ, როგორ აღიქვამს რეალობას. ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, ე.წ. რადიკალური ოპოზიციის წიაღიდან (უფრო ქვესკნელი ეთქმის) ამოგვძახეს, რომ საქართველო მძევლად ჰყავთ აყვანილი და თუკი სააკაშვილს არ გაათავისუფლებენ, მძევალს ტანკებით გადაუვლიან. ამასთანავე, პირდაპირი გაგებით, სააკაშვილს არ აჭმევენ, უკრძალავენ სამედიცინო დანიშნულების შესრულებას, თან მოწამლულიაო, მაგრამ ექსპერტიზაზე არ თანხმდებიან, არც უცხოელი ექიმების ჩამოყვანაზე თანხმდებიან, თუნდაც სახელმწიფოს ხარჯზე. ათეულ ათასებს ხარჯავენ პიარზე სახელმწიფოს დისკრედიტაციის მიზნით.**

**საქართველო ვერა, მაგრამ თავად სააკაშვილი კი მართლაც აქციეს კეზერაშვილის შექმნილი რევოლუციური კომიტეტის მძევლად. სააკაშვილიც მმართველობის დაბრუნების ჟინით შეპყრობილი ეწევა თვითდაზიანებას. ესაა უალტერნატივო რეალობა. ახლა ოპოზიციამ არჩევანი უნდა გააკეთოს ორ გზას შორის, ან ხაბეიშვილისა და სანიკიძის მთავარსარდლობით თბილისის ქუჩებში გამოვიდნენ და სისხლისღვრაზე ლაპარაკით კიდევ უფრო შეაძულონ თავი საზოგადოებას, ან შექმნან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა და არჩევნებისათვის დაიწყონ მზადება,** – წერს გია ვოლსკი.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** ფიქრობს, რომ ლევან ხაბეიშვილი და მისი თანამოაზრეები, სააკაშვილს უმტკიცებენ, რომ ისინი რადიკალურები არიან და მისი გათავისუფლება ყველანაირ ფასად მოხდება. არადა ყველამ კარგად იცის, მათ შორის პარტიის წევრებმაც, რომ ხაბეიშვილი არ არის ის პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც ენმ-ის ამომრჩეველიც კი გაჰყვება. ეს არის ადამიანი, რომელიც მხოლოდ ფუჭი დაპირებებით და ბაქი-ბუქით არის ცნობილი. ამის ნათელი მტკიცება კი აქციაზე მისული ხალხის მცირე რაოდენობაა.

**– ლევან ხაბეიშვილს არჩევნების წინ დაპირებული პირობის შესრულება მოუწევს და მას მიხეილ სააკაშვილის ციხიდან დახსნა კისერზე ვალად აწევს. ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რაღაცა აქტიურობა უნდა დაიწყოს. ასე, გულზე ხელდაკრეფილი ხომ ვერ იჯდება. ახლა შეეცდება ის კლოუნადა, რომელიც აქამდე მხოლოდ პარტიაში და მედიაში ჰქონდათ, ქუჩაში გადმოიტანონ. ადრე თუ ქუჩაში მხოლოდ ის დარბოდა, ახლა მთელი პარტია ირბენს. თუმცა მარტოები, რადგან ვნახეთ აქციაზე საკუთარი ამომრჩეველიც კი ვერ მიჰყავთ. ირაკლი ღარიბაშვილის სახლთან და მთავრობის სასახლესთან ხომ „ზღვა ხალხი", მივიდა, ასეც გაგრძელდება. პარტიული რესურსით და კეზერაშვილის ფულებითაც კი ხალხის ქუჩაში გამოყვანა ვერ შეძლეს, წარმოიდგინეთ, რა დონის კრიზისში არიან.**

**ეს არის დაშლის წინა პერიოდში მყოფი პარტია, რომელიც ხელოვნურ სუნთქვას ცდილობს. ხაბეიშვილს სერიოზულად საკუთარი თანაპარტიელები არ აღიქვამენ და ქართველი ხალხი რევოლუციის მოწყობაში აჰყვება? როგორც კი ენმ-ის მხრიდან რადიკალიზმზე, ომზე, გადატრიალებაზე საუბარი იწება, მისი რეიტინგი დაბლა იწევს. ვნახეთ, რომ მხოლოდ 6% აქვთ დარჩენილი. ამ რადიკალური მოქმედებების ფონზე კი კიდევ უფრო ქვემოთ ჩამოვლენ. ვფიქრობ, ხაბეიშვილი ამის გათვითცნობიერებას ახდენს და ის არ წავა ისეთ რადიკალურ ნაბიჯებზე, როგორზეც ადრე ნიკა მელია წავიდა და რაც მიიღო ყველამ კარგად დავინახეთ. ყველას აქვს პროტესტის გამოხატვის უფლება, მაგრამ კანონის ფარგლებში. თავად ნაციონალების ამომრჩეველს არ სურს რადიკალიზმი და არეულობა. ამიტომ ხაბეიშვილის სირბილი უბრალოდ კომიკური იქნება, რომელიც პარტიას კიდევ უფრო დააზიანებს",** – ამბობს გია აბაშიძე.

მისივე თქმით, თუკი პარტიაში მზად არიან, რომ სააკაშვილისთვის ყველაფერი დათმონ, მაშინ საპარლამენტო მანდატებიც უნდა დათმონ. თუმცა ანალიტიკოსი ამბობს, რომ პარტიაში ამაზე თანხმობაც კი არ არის. ამიტომ რომელ ბრძოლასა და რევოლუციაზე საუბრობს ხაბეიშვილი, სასაცილოა. ზოგ ენმ-ის დეპუტატს პარლამენტარი რომ გამხდარიყო, იმდენი ფული აქვს დახარჯული, სააკაშვილის გამო ნამდვილად არ აპირებს მანდატებზე უარის თქმას.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** კი მიიჩნევს, რომ საპარლამენტო ბოიკოტი ყოვლად გაუმართლებელია და ამაში ენმ-ს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ზაქარეიშვილი ფიქრობს, რომ ეს გადაწყვეტილება მოსახლეობაში პარტიის მიმართ პროტესტს გამოიწვევს და ამის გამო მათი რეიტინგის დაცემა გარდაუვალია.

**– წარმოუდგენელი და დიდი იდიოტობა მგონია, როცა პოლიტიკოსს ხალხი საკუთარ ხმას გაძლევს, მანდატს განიჭებს და მისი სახელით საუბრის უფლებას გაძლევს, შენ კი ამას არაფრად აგდებ და რაღაც აბსურდულ დღის წესრიგში ცვლი. პარლამენტში მუშაობა მათთვის მიუღებელია და მიაჩნიათ, რომ სამარცხვინო და არაეფექტურია. კი ბატონო, გამართონ ქუჩის აქციები, ამაში მათ ვინ ზღუდავთ, მაგრამ ამის პარალელურად ხალხის მიერ მინიჭებული უფლებით რატომ არ უნდა ისარგებლონ? ხალხმა ისინი პარლამენტში სამუშაოდ აირჩია და არა ბოიკოტისთვის. ამით, პირველ რიგში, თავს იზიანებენ. ენმ-ის ამომრჩეველი არ ვარ და მათი ბედი დიდად არც მადარდებს, მაგრამ მიკვირს, როგორ ვერ ხვდებიან, რომ თვითდაზიანებას და დემოკრატიული ინსტიტუტების დისკრედიტაციას ახდენენ, რაც უკვე ყველას სადარდებელი ხდება.**

**ჩვენ თუ ვიცით რეალურად ენმ რასაც წარმოადგენს, ეს უცხოეთში არ იციან? ამიტომ ყოველთვის უკვირთ, რატომ თმობენ იმას, რაც მათ ხალხმა მიანიჭა. რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობის" დისკრედიტაცია საერთაშორისო დონეზე კიდევ უფრო გაძლიერდება. იმდენსაც კი ვერ ხვდებიან, რომ პარლამენტში „ოცნების" მარტო დატოვება ხელისუფლებას წაადგება. ეს ხომ მათ წისქვილზე წყლის დასხმაა,** – აცხადებს ზაქარეიშვილი.

მისივე თქმით, პოლიტიკის ქუჩაში გადმოტანა სახელმწიფოსთვის ყველაზე უფრო სახიფათოა. ოდესღაც ხალხი ქუჩაში იმიტომ გამოდიოდა, რომ პარლამენტში ხმა არ ჰქონდათ. ახლა ფიქრობენ, რომ პარლამენტში ხმა აქვთ და ქუჩაში არ გამოვლენ. ისინი ოპოზიციისგან პარლამენტში მუშაობას მოითხოვენ, რადგან უსაქმური პოლიტიკოსები ყველაზე მეტად აღიზიანებთ. მისი აზრით, უნდა ეყოთ ვაჟკაცობა, რომ „ოცნებას" პარლამენტში არგუმენტირებულად ეკამათონ. ამის მაგივრად კი ქუჩაში დარბიან და ხალხის გაყვანას ვერ ახერხებენ. აქციაზე არმისვლით ხალხი ოპოზიციას აჩვენებს, რომ მათი დაკვეთა ქუჩა და რადიკალიზმი არ არის.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## თუ უკრაინაში არ იბრძოლებთ, თბილისში ქუჩის ომს მიიღებთო!!!

**დიდი ალბათობით, სააკაშვილის გაჩერებას ველარ შეძლებენ და როცა ის მიხვდება, რომ მოატყუეს, გუდას პირს მოხსნის**

„ნაციონალური მოძრაობა" ომზე, დაპირისპირებაზე და გადატრიალებაზე უკვე ღიად ალაპარაკდა. მიუხედავად იმისა, რომ პარტია კატეგორიულად უარყოფდა საქართველოს ომში ჩართვის სურვილს, ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომით და სისხლისღვრით იმუქრება. ფაქტობრივად, **გუბაზ სანიკიძემ** და **გიორგი ჩალაძემ** სამხედრო გადატრიალება დააანონსეს, რომელიც **მიხეილ სააკაშვილის** მომხრე, უკრაინაში მებრძოლი სამხედროების მეშვეობით უნდა მოხდეს. ისინი ამბობენ, რომ თუკი სასამართლო სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების გადაწყვეტილებას არ მიიღებს, მაშინ ხელისუფლება ქუჩაში ომს მიიღებს. მოსამართლემ სააკაშვილი მოთხოვნა უკვე არ დააკმაყოფილა და ცნობილია, რომ მას სასჯელს არ გადაუვადებენ. ამიტომ, ახლა თუ მათ ლოგიკას გავყვებით, პარტია მოქმედებაზე უნდა გადავიდეს.



### რითი და ვისით აშინებს ქართველ ხალხს „ნაციონალური მოძრაობა"?

**„ამას მარტო ჩემი სახელით არ ვამბობ, მეომრებთან მილაპარაკია, ვეტერანებთან, აფხაზეთის, ცხინვალის, აქ ბევრი ვაპირებთ ომს!"** – გამოგვიცხადა **გუბაზ სანიკიძემ** ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერიდან.

იხ. 8 გვ.

# 1. ტურისტული ბილიკები მთაწმინდის ქედზე
# 2. „შემოქმედებითი თბილისი“ კონკურსი მალე დაიწყება!



**თბილისის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.**

**„საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოსცა ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კუს ტბასა და ვაკის პარკს შორის ტურისტული ბილიკების მოწყობას. უკვე მომზადებულია თანამედროვე, მაღალი სტანდარტების პროექტი, რომელიც თბილისის ურბანული ტყის განვითარების გეგმის ნაწილია. პროექტი ითვალისწინებს მარკირებული და სპეციალური ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ველო და საფეხმავლო ბილიკების მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს ეკოტურიზმის ახალი შესაძლებლობების გაჩენას. ველობილიკი მოეწყობა საერთაშორისო სამთო ველოფედერაციის დოკუმენტის მიხედვით, ხოლო საფეხმავლო ბილიკი – ეროვნული რეგლამენტის შესაბამისად“,** – განაცხადა მერმა და საზოგადოებას შესაბამისი ვიზუალური მასალა წარუდგინა.

* * *

კახა კალაძემ კიდევ ერთხელ ისაუბრა ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპის შესახებ. მისი თქმით, მუნიციპალიტეტი უკვე აწარმოებს საინფორმაციო კამპანიას, ასევე, გადამზადდნენ ცხელი ხაზის ოპერატორები და მოქმედებს სპეციალური ვებგვერდი taxi.tbilisi.gov.ge.

**„გასულ კვირას საზოგადოებას წარვუდგინეთ ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპი და დეტალურად მივაწოდეთ ინფორმაცია ტაქსების ბაზარზე 2018 წლიდან დღემდე გადადგმულ ნაბიჯებზე. რეფორმის მესამე ეტაპით გათვალისწინებული ცვლილებები ძალიან საინტერესო და სარგებლიანია ამ ბაზრის მონაწილე სუბიექტებისთვის.**

**როგორც მოგეხსენებათ, 20 მარტიდან შეწყდება ძველი სისტემით ნებართვების გაცემა და პირველი აპრილიდან ახალი, განსხვავებული მოდელი ამოქმედდება. ამ სიახლესთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით, მუნიციპალიტეტი აწარმოებს საინფორმაციო კამპანიას: გადამზადდნენ ცხელი ხაზის ოპერატორები და სრულ მზადყოფნაში არიან, რომ დაეხმარონ და კონსულტაცია გაუწიონ ყველა დაინტერესებულ პირს; შეიქმნა ვიდეოგზამკვლევი და საინფორმაციო ბროშურა; მოქმედებს სპეციალური ვებგვერდი taxi.tbilisi.gov.ge, სადაც განთავსებულია ინფორმაცია არსებულ ცვლილებებთან დაკავშირებით“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, ტაქსის რეფორმის მესამე ეტაპისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები უკვე მომზადებულია და შესაბამის უწყებებთან თანხმდება. ამის შემდეგ კი დედაქალაქის საკრებულოში დასამტკიცებლად გადაიგზავნება.

* * *

დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, სიახლეა ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის წესშიც. მისი თქმით, მუნიციპალიტეტს შეუძლია ავარიული სახლის ჩანაცვლება განახორციელოს არა იმავე ტერიტორიაზე, რაზეც დგას ავარიული სახლი, არამედ სხვა, მუნიციპალურ მიწის ნაკვეთზე.

**„ამ დრომდე არსებობდა გარკვეული წესი: ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება ავარიულ კორპუსში მცხოვრებლებთან. თუ მათთან შეთანხმება მოხდებოდა და ყველა ხელს მოაწერდა, მაშინ ისინი დროებით გაგვყავდა ქირით. პარალელურად, იწყებოდა ავარიული კორპუსის დემონტაჟი და ახალი პროექტის განხორციელება. კორპუსის აშენების შემდეგ, ადგილობრივებს ვაბრუნებთ ახალ, მოწესრიგებულ სახლებში. ჩვენ ამ წესში დამატებითი სიახლე შემოვიტანეთ, რომელიც ასევე ავარიული სახლის ჩანაცვლებას ითვალისწინებს და ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც მუნიციპალიტეტი ავარიული სახლის ჩანაცვლებას ახორციელებს არა იმავე ტერიტორიაზე, რაზეც დგას ავარიული სახლი, არამედ სხვა, მუნიციპალურ მიწის ნაკვეთზე. მაგალითად, ავაშენოთ მიწის ნაკვეთზე კორპუსი და შემდგომში შევთავაზოთ მოსახლეობას იქ გადასვლა და მათი სახლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძის განმარტებით, ახალი კორპუსის მუნიციპალიტეტის კუთვნილ ტერიტორიაზე აშენება არ საჭიროებს მოსახლეობის თანხმობას, თუმცა, იქამდე, ვიდრე აშენებულ კორპუსში მოსახლეობას გადაიყვანენ, აუცილებელია მათი თანხმობა.

**„ბოლო დღეებში არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი ადამიანები, ასევე პოლიტიკოსები, რომელთაც აქვთ თავიანთი დღის წესრიგი, ავრცელებენ არასწორ ინფორმაციას, თითქოს ამ ცვლილებების მიზანია, ხალხის ნების გარეშე ჩავანაცვლოთ მათი კუთვნილი ფართები. როგორ შეიძლება ამის დაშვება ან როგორ წარმოგიდგენიათ მოსახლე მისი თანხმობის გარეშე, კუთვნილი ფართიდან გამოვიყვანოთ ძალადობით და ალტერნატიული ფართი შევთავაზოთ?! ცხადია, ეს არის არასწორი ინფორმაცია, სიცრუე. ეს ცვლილება საჭიროა იმისთვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს შესაბამისი პროექტები და არ ვიყოთ დამოკიდებული მხოლოდ ავარიული სახლების დემონტაჟზე და ახლის აშენებაზე. გვაქვს მუნიციპალური მიწები და რატომ არ შეგვიძლია, იქ ავაშენოთ ახალი საცხოვრებელი ფართები და შევთავაზოთ ავარიული კორპუსების მცხოვრებლებს?!“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

* * *

**დედაქალაქის მერის ინფორმაციით, თბილისის მერია „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში“ მარტიდან დამატებით 300 ბავშვს და მოზარდს ჩართავს.** მისი თქმით, საჭირო სეანსები, ჯამში, 1850 ბავშვს და მოზარდს დაუფინანსდება.

* * *

**როგორც მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა განაცხადა, თბილისის მერიის მიერ დაარსებული კონკურსის – „შემოქმედებითი თბილისი“ პირველი ეტაპისთვის განაცხადების მიღება დაიწყო.** კახა კალაძის თქმით, განაცხადების წარდგენა შესაძლებელია სამი მიმართულებით: საგამომცემლო საქმიანობა, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება, დიზაინი და რეწვა. განაცხადების წარდგენის ვადა კი განსაზღვრულია 27 თებერვლის ჩათვლით.

**„რაც შეეხება მედია არტის მიმართულებას, აქ განაცხადების მიღება ოდნავ შეცვლილი მოთხოვნებით, მოგვიანებით იგეგმება, რის შესახებაც აუცილებლად გაცნობებთ. დამატებითი ინფორმაციის მიღებას და განაცხადების ატვირთვას მსურველები შეძლებენ კონკურსის ვებგვერდზე www.culture. taxi.tbilisi.gov.ge აღსანიშნავია, რომ 3 წლის განმავლობაში, რაც კონკურსი არსებობს, შემოქმედებითი ინდუსტრიების სხვადასხვა სფეროში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი დაფინანსდა“,** – განაცხადა კახა კალაძემ. დედაქალაქის მერმა საზოგადოებას მუნიციპალიტეტის კიდევ ერთი გამორჩეული თანამშრომელი მანანა ბიგვავა წარუდგინა.

---

## ლაშა კალანდაძე: CREDIT SUISSE ხავსს ეჭიდება!

(მესამე გვერდიდან)

ერთი სიტყვით, ფურცელზე ყველაფერი იდეალურად გამოიყურებოდა, დოკუმენტების მიხედვით მოსარჩელეთა თანხები დაცული იყო, მათი აქტივების მართვაც ეფექტურად ხორციელდებოდა, თუმცა მოცემულობა იყო სრულიად საწინააღმდეგო: თანხები დაუცველი; აქტივები კი, ფაქტიურად, განიავებული.

**Credit Suisse**-ის თანამშრომელთა ქმედებებს უბრალოდ თვალი რომ გადაავლოთ, დარწმუნებით იტყვით, რომ საქართველოში, ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც საბანკო სექტორი ფეხს იდგამდა, მსგავს უკანონო ქმედებებს არა თუ ადგილი ექნებოდა, არამედ მისი ჩადენა თავში აზრადაც კი არავის მოუვიდოდა.

(2) „განსხვავებულ“ და „ამოუხსნელ“ მოვლენასთან გვაქვს საქმე **Credit Suisse**-ის მენეჯმენტის სახით.

საილუსტრაციოდ შემდეგ ინფორმაციას გავაზიარებ: **Credit Suisse**-ის, როგორც ფინანსური ინსტიტუტის შესახებ მედიით ინფორმაცია შეფერხების გარეშე ვრცელდება, მაგრამ, როდესაც დღის წესრიგში დგება ინფორმაციის, უფრო სწორად, ფაქტების გავრცელების საკითხი მენეჯმენტის ქმედებებთან მიმართებით, მაშინვე აღიმართება ბარიერები: იბლოკება ფაქტების გავრცელება ან ხდება ფაქტების გაფილტვრა ან ვრცელდება ფაქტების მხოლოდ ნაწილი ან ხდება ფაქტების მოდიფიცირება, შინაარსის შეცვლითაც კი.

თავიდან აღნიშნულ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა შვეიცარიაში, თუმცა უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ევროპის დარჩენილ ნაწილშიც მსგავსი მდგომარეობა არის. ფაქტიურად გამოდის, რომ ბანკის მენეჯმენტის გავლენები, გარკვეული ფორმით, მედიაზე სცილდება შვეიცარიის ფარგლებს და მიმართული არის, რომ მოსარჩელეებმა ვერ მოახერხონ დაინტერესებული პირებისათვის ფაქტებისჰრეალობის გაცნობა, რომ მათ (დაინტერესებულმა პირებმა) ვერ შეძლონ ობიექტური შეფასების/დასკვნის გაკეთება. ერთი სიტყვით, ბანკის მენეჯმენტი ცდილობს, რომ უკანონო და ამორალური ქმედების შესახებ ფაქტების გავრცელება მაქსიმალურად შეზღუდოს.

აღნიშნული მოცემულობა ბუნებრივად რომ აჩენს შემდეგ კითხვებს: როგორ ახერხებს ამას მენეჯმენტი? ვინ მფარველობს მენეჯმენტს? მენეჯმენტის მფარველობა ემსახურება თუ არა რაიმე მიზნის მიღწევას? მენეჯმენტი, მფარველობის სანაცვლოდ, ასრულებს თუ არა რაიმე დავალებას? და ა.შ. დამატებით აღარ გავამახვილებ ყურადღებას. ყველაფერი ისედაც ცხადი და ნათელი არის.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის მენეჯმენტი აცნობიერებს, რომ ბანკი ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას. ამიტომაც აქცენტები გადატანილი აქვს ხელოვნური ბარიერების შექმნასა და საქმეთა განხილვის გაჭიანურებაზე: მენეჯმენტი ცდილობს, ხავსს მოეჭიდოს, თუნდაც არარსებულს, ოღონდ როგორმე მოახერხოს, რომ მინიმუმ შეძლოს ბანკის პასუხისმგებლობის დროში გადაწევა.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ მოსარჩელეები აპირებენ, მიიღონ ყველა ზომა, რომ უზრუნველყონ დაინტერესებული პირების ინფორმირება, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე, აგრეთვე – თავიანთი უფლებების რეალიზება“, – წერს ადვოკატი.

---

⊙ მორიგი საბანკო აფერა

## თავი შეიკავეთ უკანონო გარიგებებში მონაწილეობისგან!

### „საბანკო ასოციაცია“ მოქალაქეებს რუსეთიდან გადმორიცხული ფულის ანაზღაურების სანაცვლოდ განაღდების უკანონობის თაობაზე აფრთხილებს

ასოციაცია საქართველოში ლიცენზირებული ბანკების სახელით აცხადებს, რომ ასეთი ქმედება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და შესაძლოა, კონკრეტული პირის ანგარიშის დახურვის და სანქცირების საფუძველი გახდეს.

**„ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როდესაც ფიზიკურ პირებს, რომლებიც საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკების მომსახურებით სარგებლობენ, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, უცნობი პირები პირად საბანკო ანგარიშზე ურიცხავენ თანხას და სხვადასხვა გზით ჩარიცხული თანხის განაღდებას სთხოვენ. აღნიშნული ტიპის თანხები ძირითადად რუსეთის ფედერაციიდან ირიცხება“,** – აცხადებენ ასოციაციაში. ორგანიზაციის განმარტებით, მსგავსი საქმიანობით დაკავებული პირების მიმართ შესაძლოა, დადგეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

**„ამ ტიპის საქმიანობა რისკის ქვეშ აყენებს ფიზიკური პირის პერსონალური და საბანკო მონაცემების კონფიდენციალობას, რაც ზრდის შესაბამისი ფიზიკური პირის კომერციულ ბანკებში დაცული აქტივების მიმართ თაღლითობის შესაძლებლობას და რისკს.**

**საქართველოს საბანკო ასოციაცია მოუწოდებს მომხმარებლებს გაითვალისწინონ მსგავსი მართლსაწინააღმდეგო სქემების არსებობა და თავი შეიკავონ უკანონო გარიგებებში მონაწილეობისაგან“,** – წერია განცხადებაში.

# გიული ჩოხელი – ჯაზის ქართველი დივა

**სიტყვა „ჯაზის“ (ინგლისურად JAZZ) ეტიმოლოგია მნიშვნელოვანი კვლევის საგანია და მისი ისტორიაც კარგადაა გამოკვლეული, ითვლება, რომ იგი კავშირშია ჟარგონთან „ჯაზმი“, რომელიც 1860-იანი წლებით თარიღდება და აღნიშნავს – „შემართებას, ენერგიას“.**

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ახალ ორლეანელი მონები სოციალურ თავყრილობებს აწყობდნენ სპეციალურ ბაზრობაზე, რომელსაც მოგვიანებით, კონგოს მოედანი ეწოდა. სწორედ აქ გამოჩნდა პირველი აფრიკული ცეკვები. 1843 წლამდე ახალი ორლეანის კონგოს მოედანზე კვირაობით აფრიკული ცეკვების ფესტივალები იმართებოდა დასარტყამი ინსტრუმენტების თანხლებით. 1885 წლით დათარიღებული გადმოცემის თანახმად, ისინი უკრავდნენ უცნაურ მუსიკას არანაკლებ უცნაურ „ინსტრუმენტზე“ – სარეცხ დაფებზე, პირსაბანებზე, დოქებზე, ყუთებზე, რომლებზეც ჯოხებს ან ძვლებს ურტყამდნენ და... ეგრეთ წოდებულ დოლზე, რომელიც ფქვილის კასრზე გადაჭიმული ტყავი იყო.

საერთოდ, ჯაზის, როგორც პოპ-მუსიკის ერთ-ერთი მიმდინარეობის წარმოშობის პერიოდად XIX საუკუნე ითვლება, რა დროსაც მოხდა ამერიკული და ევროპული კლასიკური მუსიკის ინტერპრეტაცია, შერწყმული აფრიკულ და აფრიკელ მონათა ხალხურ სიმღერებთან და დასავლეთაფრიკულ კულტურულ გავლენებთან. მისი შემადგენლობა და სტილისტიკა წლების განმავლობაში იცვლებოდა ცალკეულ შემსრულებელთა ინტერპრეტაციების და იმპროვიზაციის შედეგად, რაც აგრეთვე ჯაზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს შეიცავს.

ხელოვნების კრიტიკოსი იოახიმერსტ ბერენდტი ამტკიცებს,რომ ჯაზის დეფინიცია ბევრად ფართო უნდა იყოს და განსაზღვრავს მას, როგორც „არტმუსიკის ფორმას, რომელიც წარმოიშვა ევროპული და შავკანიანთა მუსიკის დაპირისპირების შედეგად ამერიკის შეერთებული შტატებში“. მისივე სიტყვებით, ჯაზს გააჩნია „მუსიკის შექმნის სპონტანურობა და სიცხოველე, სადაც მთავარ როლს იმპროვიზაცია თამაშობს“. რადგან იგი არაერთ ქვეყანას მოიცავს, ყველა მათგანს იმპროვიზაცია აერთიანებს, სადაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს კომპოზიტორის წვლილს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მთელი ყურადღება შემსრულებელზეა გამახვილებული. შემსრულებელი მელოდიის რეალიზებას ინდივიდუალურად ახდენს და კომპოზიციას ერთნაირად ორჯერ არასოდეს იმეორებს. შემსრულებლის განწყობის, გამოცდილების და სხვა შემსრულებლებთან დამოკიდებულების მიხედვით, შეიძლება, შეიცვალოს მუსიკალური სურათი. 1920-იანი წლების „ჯაზის ეპოქის“ შემდეგ იგი აღიარებულია, როგორც მუსიკალური ექსპრესიის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, როგორც ტრადიციულ, ისე პოპულარულ მუსიკაში, რომლებსაც აფროამერიკული და ევროამერიკული მუსიკალური წარმომავლობა აკავშირებს. ჯაზმა, მსოფლიო მასშტაბით გავრცელებასთან ერთად, შეითვისა ეროვნული, რეგიონული და ლოკალური მუსიკალური ტრადიციები, რამაც დასაბამი მისცა, სრულიად განსხვავებულ ფორმას, სტილს, ჰარმონიას და მელოდიას. აქედან გამომდინარე შეიქმნა პოპულარული მუსიკის არაერთი მიმდინარეობა.

* * *

**იმ დროს, როდესაც მთელ მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული და აღიარებული ჯაზური მუსიკა, საბჭოთა კავშირში იგი კანონგარეშედ იყო გამოცხადებული და მისი მიმდევრები ქვეყნის მოღალატეებად იყვნენ მიჩნეული. საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებს არ ჰქონდათ საშუალება გასცნობოდნენ მსოფლიოში მიმდინარე საინტერესო და პროგრესულ მიღწევებს ლიტერატურაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში.**

ამიტომ იყო, რომ ზოგიერთი ადამიანი არ ეგუებოდა არსებულ ვითარებას, საზღვარგარეთ გარბოდა და იქ პოულობდა თავის ადგილს. ქვეყნის შიგნით იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხმამაღლა და ღიად აცხადებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, სურვილებს და მიზნებს. ჯაზის პირველმა მეამბოხე დისიდენტმა მომღერალმა - გიული ჩოხელმა ლამის კანონად ქცეული ყოველგვარი კლიშე და ტაბუ გაარღვია და კაპიტალისტურ სამყაროს საბჭოთა ადამიანის თავისუფლებისადმი ლტოლვა და ინტერესი აჩვენა.

გიული ჩოხელი 1935 წლის 12 თებერვალს დაიბადა თბილისში მუსიკალური კომედიის თეატრის ცნობილი მსახიობის ელენე ჩოხელის ოჯახში.

**მომღერალი უდიდესი მადლიერებით იხსენებს საქართველოს სახალხო არტისტს, ცნობილ მსახიობს სპარტაკ ბაღაშვილს, რომელიც სვანეთის უბანში მათ მეზობლად ცხოვრობდა და უბნის ბავშვებს საბავშვო დადგმებს უწყობდა, სადაც პატარა გიული აქტიურად მონაწილეობდა. ასე რომ, თეატრალურ გარემოცვაში მყოფი მოზარდი, თავიდანვე მიეჩვია სცენას. ჯაზური მუსიკა მას, ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დედამ მოასმენინა, იმ დროს ყველანაირად აკრძალული რადიო „ამერიკის ხმის“ მეშვეობით. ფარულად პირველად მოუსმინა ჯონ უილიამსს და კიუნტ ბეისის, მომდევნო პერიოდში დორის დეის და ელა ფიცჯერალდის ჩანაწერებს. იმდენად დიდი იყო შთაბეჭდილება და ინტერესი, რომ ყველგან ჯაზურ მუსიკას უსმენდა. ამან გიული ჩოხელის მუსიკალურ გემოვნებაში სრული გარდატეხა მოახდინა, ფაქტიურად ბიძგი მისცა და საბოლოოდ განსაზღვრა მისი შემდგომი საქმიანობა.**

მისი მისაბაძი და საყვარელი მომღერალი ელა ფიცჯერალდი იყო, რომლის ჩანაწერებსაც გამუდმებით უსმენდა. 14 წლისა სოლოლაკში არსებულ საზაფხულო თეატრ „სცელაში“ წარსდგა მომღერლის ამპლუაში. სულ მალე მან ედუარდ სეფაშვილისგან მიიღო შეთავაზება, ახალჩამოყალიბებულ ტრიოსთან ერთად საკონცერტოდ მოსკოვში გამგზავრებულიყო. თუმცა ქალაქური საესტრადო სიმღერები გიული ჩოხელისთვის საინტერესო არ აღმოჩნდა. მას ჯაზი იტაცებდა.

50-იან წლებში თბილისში პირველი ჯაზ-ორკესტრი შეიქმნა ჩინეთიდან ჩამოსული გიორგი გაბისკირიას მიერ. 1955 წლიდან გიული ჩოხელი ამ ორკესტრის სოლისტი ხდება. ამის შემდეგ იგი ედი როზნერის ორკესტრში მღერის, ვისთან ერთადაც მისი პირველი გამოსვლა ბაქოში შედგა. აქ გიულიმ სამი ინგლისური სიმღერა შეასრულა, რა დროსაც მაყურებელმა ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა. ეს იყო მისი პირველი გამარჯვება.

1959-60 წლებში იგი ოლეგ ლუნდსტრემის საესტრადო ორკესტრის სოლისტია, რა დროსაც საბჭოთა კავშირში ჯაზის ნომერ პირველ შემსრულებლად ჩამოყალიბდა. ამ ორკესტრთან ერთად მან დიდი აღიარება მოიპოვა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. მომღერალს ერთგვარი იდეოლოგიური ხასიათის წინააღმდეგობის გადალახვაც უწევდა. „იძულებული ვიყავით, ავტორებისა და კომპოზიტორების გვარები შეგვეცვალა. ყველას ვარწმუნებდით, რომ უცხოეთში რუსი კომპოზიტორების პროპაგანდას ვეწეოდით“, - აღნიშნავს გიული ჩოხელი.

1961 წლიდან გამოდიოდა სოლო კონცერტებით ინსტრუმენტულ ანსამბლ „Веселый тромбон“-ში და ჯაზ-ორკესტრ „ჩანგთან“ ერთად. მას შესრულებული აქვს ქართველ კომპოზიტორთა მრავალი სიმღერა. მისთვის იქმნებოდა ახალი სიმღერები. იგი იყო ტარივერდიევის „მუსიკის“ და კაჟლაევის „ყვითელი ფოთლების“ პირველი შემსრულებელი. იმ პერიოდში ჩოხელი უჩვეულო და ორიგინალური მუსიკოსის სახელით სარგებლობდა. მას ჰქონდა ძლიერი, მოქნილი და ლამაზი ჟღერადობის ხმა. შესრულება იყო დახვეწილი და სრულყოფილი, მისთვის დამახასიათებელი იმპროვიზაციით და ხელწერით. მღეროდა თავისუფლად, ლაღად და საოცარი გემოვნებით.





მისი პოპულარობის პიკი სამოციანი წლების მეორე ნახევარში წარმოჩინდა. 1967 წელს გიული ჩოხელმა, რომ იტყვიან, რკინის ფარდა გაარღვია და ტრიუმფით გაიჭრა ევროპაში, სოპოტის ჯაზის ფესტივალზე „გრან-პრი“ მოიპოვა, სადაც უმაღლეს დონეზე შეასრულა კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილის ჯაზ-რომანსი. ამას მოჰყვა ტალინის, პრაღის, მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალების I პრიზი. იგი ევროპის ჯაზის მომღერალთა ხუთეულში შეიყვანეს. გიულიმ 1968 წელს კუბაში „ვარადეროს“ სიმღერის ფესტივალშიც გაიმარჯვა. ამის შესახებ შთამბეჭდავი სტატია დაიბეჭდა ჰავანის გაზეთ „გრანმაში“, „პრესა ლატინას“ კორესპონდენტის მიერ. ერთი საინტერესო მომენტი ახლავს ამ კონკურსს: ჰავანის სასტუმრო, სადაც მომღერალი ისვენებდა, ოკეანის ლამაზ ნაპირზე მდებარეობდა. ერთხელ, სასტუმროს წინ მდებარე ცარიელ პლაჟს ეწვია. იფიქრა, პლაჟი ცარიელი იმიტომაა, რომ აქაურებს მობეზრებული აქვს ცურვაო. გიული ოკეანეში გადაეშვა და როცა ნაპირზე გამოვიდა, დაინახა შეშინებული თავისი თარჯიმანი, ხელების ქნევით, რომელიც წყლიდან სასწრაფოდ ამოსვლას ანიშნებდა. თურმე ამ ადგილზე ოკეანე სავსე იყო ზვიგენებით. ასე გადაურჩა მომღერალი კუბური ფესტივალის ხიფათს.

„ჯაზი მკურნალი მუსიკაა, თუ გიყვარს და გესმის, სიცოცხლის ელექსირია“, – აცხადებს ჩოხელი.

1995 წლის ჯაზის ქართველი მომღერალი ამერიკაში „კარნეგი ჰოლში“ გამოსვლის შემდეგ, ცნობილი ჯაზკომენტატორის - უილს ქანოვერის მიკროფონით დააჯილდოვეს და ამერიკულმა ფირმა „ინტერპრაისმა“ გამოსცა მისი ფირფიტა „მუდამ იქნება მუსიკა“...

2019 წლის 26 მარტს თბილისის ივენტჰოლში მომღერლის საიუბილეო საღამო გაიმართა, საკონცერტო დარბაზის წინ კი მისი ვარსკვლავი გაიხსნა.

გიული ჩოხელის სცენარის მიხედვით გადაღებულია რამოდენიმე დოკუმენტური ფილმი.

მას მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული არტისტის, თბილისის საპატიო მოქალაქის, ხელოვნების ქურუმის და ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდებები. 2019 წელს საქართველოს წარმატებული ადამიანების დაჯილდოების ცერემონიაზე პირველი ქართველი ჯაზ-მუსიკოსი ქალი – გიული ჩოხელი საუკუნის პერსონად დაასახელეს.




**„მე ვმღეროდი და ვაკეთებდი იმას, რასაც შინაგანად განვიცდიდი და ვგრძნობდი“, – აცხადებს მომღერალი.**

**ორიოდე დღეში, 12 თებერვალს შინაგანად თავისუფალ, მეამბოხე მომღერალს, აბსოლუტურად თავისუფალ და თამამ ქალბატონს გიული ჩოხელს 88 წელი უსრულდება.**

**კიდევ მრავალ წელს, ჩვენო საამაყო მომღერალო და ჯაზური მუსიკის ქართველო სიცოცხლევ!..**

**გელა ქოქიაშვილი,**

**ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი, ქართული კულტურის ამაგდარი**



# თუ უკრაინაში არ იბრძოლებთ, თბილისში ქუჩის ომს მიიღებთო!!!



ნოდარ ყარალაშვილი საქართველოში ტანკებით შემოსვლას აპირებს. გარდა ამისა, იგი შეურაცხყოფას აყენებს კახელებს და ქართულ ღვინოს. იგი ყოფილი პატიმარია, რომელიც გასამართლდა თაღლითობის მუხლით და მისჯილი ჰქონდა 11-წლიანი პატიმრობა. ის შეწყალების აქტის საფუძველზე მიხეილ სააკაშვილმა 2013 წელს გაათავისუფლა, რის შემდეგაც უკრაინაში გადავიდა საცხოვრებლად და უკრაინული ლეგიონის გალიჩინას მეთაური გახდა.

(მეხუთე გვერდიდან)

მისი თქმით, უკრაინაში რამდენიმე ათასი ქართველი რომ იბრძვის, მეორე დღესვე აქ გაჩნდებიან და დამხმარეც ეყოლებათ – მთელი ცივილიზებული სამყარო.

**„თუ არ უნდათ, ქუჩაში ომი მიიღონ, მიხეილ სააკაშვილის საკითხი უნდა გადაწყდეს დადებითად, ეს არის მუქარა“,** – ასე კი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, გიორგი ჩალაძე გვაფრთხილებდა.

მისი თქმით, სააკაშვილისთვის რეალური საფრთხე დადგება თუ არა, „ქართული ოცნება“ ქუჩაში მიიღებს იმ პროტესტს, რომელსაც ვეღარაფერი გააჩერებს.

მანამდე კი 8 იანვარს მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერმა სამხედროებმა, რომლებიც უკრაინაში იბრძვიან, ვიდეომიმართვა გაავრცელეს. ისინი საქართველოს და ქართველ ხალხს განადგურებით ემუქრებიან. ერთ-ერთია **ნოდარ ყარალაშვილი,** რომელიც საქართველოში ტანკებით შემოსვლას აპირებს. გარდა ამისა, იგი შეურაცხყოფას აყენებს კახელებს და ქართულ ღვინოს.

ნოდარ ყარალაშვილი ყოფილი პატიმარია, რომელიც გასამართლდა თაღლითობის მუხლით და მისჯილი ჰქონდა 11-წლიანი პატიმრობა. ის შეწყალების აქტის საფუძველზე მიხეილ სააკაშვილმა 2013 წელს გაათავისუფლა, რის შემდეგაც უკრაინაში გადავიდა საცხოვრებლად და უკრაინული ლეგიონის გალიჩინას მეთაური გახდა.

რამდენიმე თვის წინ კი ზუსტად იგივე სცენარზე უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი მრჩეველი, **ალექსეი არესტოვიჩი** ამბობდა: **„ჩვენ მოვახდენთ საქართველოში ძალის პროეცირებას, მოგვიწევს ქართველების, მოლდოვის, სომხეთის გადარჩენა, ჩვენი ნაომარი ბიჭებისა და გოგოებისთვის ყოველთვის მოიძებნება სამუშაო პოსტსაბჭოთა სივრცეში“.**

მმართველი გუნდის წევრი **მამუკა მდინარაძე** ამბობს, რომ ხელისუფლება ყველა მსგავს განცხადებას ყურადღებით უსმენს და ნებისმიერი ერთი არასწორი ნაბიჯის გადადგმა პასუხგაცემული იქნება კანონის ყველა მოთხოვნით. როგორც ის განმარტავს, საყურადღებოა რადიკალური და სიძულვილით სავსე რიტორიკა, რაც ომისკენ მოწოდებებს შეეხება.

**„ნება მათია, აირჩიეს ხაბეიშვილი, პოლიტსაბჭო. ახმოვანებენ ომის მოწოდებებს. ყველაზე მთავარია ის კოორდინაცია, საერთო და დალაგებული მესიჯი, ასევე ის, თუ ვინ ახმოვანებინებს ამ მესიჯებს“.**

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** for.ge-სთან ამბობს, რომ გუბაზ სანიკიძის და გიორგი ჩალაძის განცხადებები საყურადღებოა. როგორც ჩანს, გარკვეული სცენარი საქართველოში არეულობის დაწყებასთან დაკავშირებით მუშავდება და ამას ხელისუფლების მხრიდან სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

**„არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანაში არეულობის დაწყების შესახებ მოლაპარაკებები არსებობს. შესაძლოა ამაზე კონკრეტულ წრეებში იდეებსაც განიხილავენ და სანიკიძეს ეს სიტყვები ასე ჰაერზე არ წამოსცდენია. მსგავსი განცხადებები უკრაინაში მებრძოლი ზოგიერთი ქართველის მხრიდანაც მოგვისმენია. სააკაშვილის მომხრე ჯარისკაცები, რომლებიც მისი ხელისუფლების დროს მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ, პირდაპირ სამხედრო ძალით ხელისუფლების ჩამოგდებით იმუქრებიან.**

**პოროშენკოს ხელისუფლებასაც და ამ ხელისუფლებასაც, რომელიც ახლა ზელენსკის მეთაურობით უკრაინის სათავეში იმყოფება, ნაციონალები ჰყავთ შეფარებული. ამ ადამიანებს ხელისუფლებაში საკმაოდ მაღალი თანამდებობები უკავიათ. ასევე გვახსოვს დავით არახამიას განცხადებებიც. არახამიასაც იგივე პათოსი ჰქონდა და პირდაპირ ამბობდა, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ არ აწყობთ. ეს ხალხი ყველა ხერხს ხმარობს იმისთვის, რომ „ოცნების“ ხელისუფლება საგარეო ველზე დაასუსტონ და ნებისმიერ შანსს ხელიდან არ უშვებენ, რომ არ გააკრიტიკონ. ამიტომაც ეჭვები ბევრია და ამ ეჭვებს საქართველოში მყოფი ზოგიერთი პოლიტიკოსი კიდევ უფრო ამყარებს“,** – ამბობს საყვარელიძე.

მისივე თქმით, გამოდის, თუკი ამ ომში უკრაინა გაიმარჯვებს და ზელენსკი კვლავ ხელისუფლებაში იქნება, მათ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საყრდენი დასჭირდებათ. ამიტომ არაა გამორიცხული, გაუჩნდეთ ამბიცია, რომ ამ ქვეყნებში მათთვის სასურველი ხელისუფლებები იყვნენ. ამიტომაც მუქარა, რომელიც ამ ბოლო დროს ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ ისმის, მხოლოდ მუქარა არ არის და ეს შესაძლოა ქვეყნისთვის რეალური საფრთხე იყოს.

მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** for.ge-სთან ფიქრობს, რომ ყველა განცხადება, რასაც გუბაზ სანიკიძე, გიორგი ჩალაძე და სხვები აკეთებენ, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, შანსდაკარგული მიხეილ სააკაშვილი მოატყუონ. ამით არწმუნებენ, რომ მის ციხიდან დახსნას მაინც შეძლებენ. ქართველიშვილი ამბობს, რომ ამ ხალხს რეალურად იმის შიში აქვს, რომ სააკაშვილმა არ დაიწყოს საუბარი საქართველოში ვინ და რატომ გამოგზავნა, არ მოაღოს პირი და ყველაფერს ფარდა ახადოს. ამიტომაც მას ამ სახის მესიჯებს უგზავნიან და მის დამშვიდებას ცდილობენ.

**„სააკაშვილისთვის შეზღუდული თავისუფლება და ძალაუფლება მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას იწვევს და არავინ იცის ხელჩაქნეული სააკაშვილი როდის და რაზე ალაპარაკდება. ახლა უკვე ვიცით, რომ მოსამართლემ მისთვის სასჯელის გადავადებაზე უარი**



ალექსეი არესტოვიჩი: ჩვენ მოვახდენთ საქართველოში ძალის პროეცირებას, მოგვიწევს ქართველების, მოლდოვის, სომხეთის გადარჩენა, ჩვენი ნაომარი ბიჭებისა და გოგოებისთვის ყოველთვის მოიძებნება სამუშაო პოსტსაბჭოთა სივრცეში.

**განაცხადა. ამიტომაც მისი მდგომარეობა ამ ადამიანებისთვის კიდევ უფრო სარისკო გახდება. მე მგონია, რომ სანიკიძის და ჩალაძის საუბარი სწორედ ამას ემსახურება. მას დამატებით იმედს აძლევენ, რომ თუკი ეს ლობისტები და სხვა აქტივობები არ გაჭრის, მაშინ აგერ, უკრაინიდან სამხედროები დაიძრებიან და გაგათავისუფლებთო. ეს არის მორიგი ტყუილი და სატყუარა სააკაშვილისთვის, რომლის ციხეში დაოკება უკვე ძალიან უჭირთ. ეს არის პირდაპირ სამხედრო გადატრიალების მცდელობა, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ ხვდება, რომ ხელისუფლებაში მათ ქართველი ხალხი არ დააბრუნებს. ამიტომ ახლა ქართველ ხალხს უკრაინაში მყოფი მებრძოლებით აშინებენ“,** – ამბობს ქართველიშვილი.

მისივე თქმით, საინტერესოა უკვე ყველანაირი ნებისყოფისგან დაცლილი სააკაშვილის გაჩერებას როდემდე შეძლებენ, რადგან უკრაინაში ომის დასრულებას ჯერ პირი არ უჩანს. რამდენ ხანში შეიძლება ეს მეომრები უკან დაბრუნდნენ და ქართველ ხალხს ომი დაუწყონ? ქართველიშვილი ამბობს, რომ, დიდი ალბათობით, სააკაშვილის გაჩერებას ვეღარ შეძლებენ და როცა ის მიხვდება, რომ მოატყუეს, გუდას პირს მოხსნის.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## ბაიდენს „საამაყოც“ ჰქონია...



**ჩვენ შევქმენით 12 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, ორ წელიწადში იმაზე მეტი სამუშაო ადგილი, ვიდრე რომელიმე პრეზიდენტმა შექმნა ოთხი წლის განმავლობაში,** – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა კონგრესში ყოველწლიური მიმართვისას განაცხადა. ჯო ბაიდენის თქმით, ორი წლის წინ „კოვიდმა“ დახურა ბიზნესები, სკოლები და ქვეყანა გაძარცვა, თუმცა დღეს „კოვიდ-19“ ამერიკელების ცხოვრებას ვეღარ აკონტროლებს. აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით, ორი წლის წინ ქვეყანაში დემოკრატიას სამოქალაქო ომის უდიდესი საფრთხე შეექმნა, თუმცა გაჭირვებისა და გამოწვევების მიუხედავად, „დემოკრატია კვლავ გაუტეხელია“.

ჯო ბაიდენმა ახალი სტანდარტები გამოაცხადა, რომელიც მოითხოვს, რომ ფედერალურ პროექტებში გამოყენებული ყველა სამშენებლო მასალა ამერიკაში უნდა იყოს დამზადებული. აშშ-ის პრეზიდენტი „მილიარდერის მინიმალური საშემოსავლო გადასახადის“ მიღების ინიციატივით გამოვიდა და თქვა, რომ არც ერთი მილიარდერი არ უნდა იხდიდეს უფრო დაბალ გადასახადს, ვიდრე სკოლის მასწავლებელი ან მეხანძრე. ჯო ბაიდენმა კონგრესმენებს თავდასხმითი იარაღის აკრძალვისკენ მოუწოდა და თქვა, რომ ქვეყანაში მასობრივი სროლების რიცხვი გასამმაგებულია. აშშ-ის პრეზიდენტმა ჩინეთსა და უკრაინის ომზეც გაამახვილა ყურადღება.

## რუსეთი ბოსნიას ნატოში გაწევრიანების გამო ემუქრება

**„თუ ბოსნია და ჰერცეგოვინა მოსკოვის მიმართ მტრულად განწყობილ ორგანიზაცია ნატოს შეუერთდება რუსეთი პროპორციული პასუხის უფლებას იტოვებს“,** – ამის შესახებ რუსეთის ელჩმა სარაევოში იგორ კალაბუხოვმა რუსეთის დიპლომატიის დღესთან დაკავშირებით განაცხადა.

**„ბოსნია და ჰერცეგოვინა თავისუფალია გადადგას ნებისმიერი ნაბიჯი მსოფლიო ასპარეზზე, შეუერთდეს ნებისმიერ ორგანიზაციას – პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვას. თუ მოქალაქეთა უმრავლესობას ეს სურს და ეს ქვეყანას სარგებელს მოუტანს“,** – განაცხადა ელჩმა და დასძინა, რომ ბოსნიის ხელმძღვანელობამ უნდა გააცნობიეროს, რომ თუ ქვეყანა შეუერთდება ბლოკს, რომლის მთავარი მიზანია რუსეთის განადგურება, მაშინ რუსეთის ფედერაციას **„აქვს საკუთარი თავის დაცვის უფლება“.**

ელჩის თქმით, სანამ ბოსნია არ მიიღებს ზომებს რუსეთის წინააღმდეგ, თავდაცვის გაძლიერება საჭირო არ იქნება. ბოსნია მონაწილეობს ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმაში, მაგრამ მცირე პროგრესი აქვს ალიანსში გაწევრიანების მიმართულებით. ბოსნიელი სერბები ეწინააღმდეგებიან ნატოში გაწევრიანებას და ასევე უარს აცხადებენ რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების შეერთებაზე.

## დანილოვი რუსეთის დაბომბვას აანონსებს

**უკრაინას აქვს იარაღი, რომელსაც შეუძლია, გაანადგუროს სამიზნეები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე,** – ამის შესახებ უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის საბჭოს მდივანმა, ალექსეი დანილოვმა „სიენენთან“ ინტერვიუში განაცხადა.

**„რაც შეეხება რუსეთის ტერიტორიას, არავინ გვიკრძალავს უკრაინული წარმოების იარაღით სამიზნეების განადგურებას. გვაქვს ასეთი იარაღი? დიახ, გვაქვს“,** – აღნიშნა დანილოვმა. დასავლეთის ქვეყნებმა უკრაინას რუსეთის ტერიტორიაზე დასავლური იარაღით თავდასხმა შეუზღუდეს.

## ლავროვი – მალის ეროვნული ორდენოსანი

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა მალიში ვიზიტის ფარგლებში, ქვეყნის მთავრობისგან ეროვნული ორდენი მიიღო.**

ლავროვს ორდენი „მალელი ერის საკეთილდღეოდ მუშაობისთვის“ გადაეცა.

**„რუსეთის სახელით ლავროვმა მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რამაც მალის გადარჩენის საშუალება მისცა. ამ გადაწყვეტილებით შესაძლებელი გახდა ჩვენი თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალების გაძლიერება, რაც საამაყოა. რუსეთი, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი, ჩვენს ქვეყანას მხარს მუდმივად უჭერს“,** – განაცხადა მალის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულაე დიოპმა.



# როგორ უნდა მოვიქცეთ მიწისძვრის დროს და რა საფრთხეს შეიძლება ველოდოთ საქართველოში?!



**თურქეთში რამდენიმე ძლიერი მიწისძვრა დადასტურდა და შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 8500-ზე მეტია. თუმცა ესეც დაუზუსტებელი მონაცემებია, რადგანაც ნანგრევებში ადამიანების საძიებო სამუშაოები გრძელდება.**

რა საფრთხეს შეიძლება ველოდოთ ამ ფონზე საქართველოში და როგორია რეკომენდაციები მიწისძვრის დროს, დეტალებზე „კომერსანტი" დედამიწის შემსწავლელი ინსტიტუტის გეოგრაფიის დეპარტამენტის უფროსს **ლაშა სუხიშვილს** დაუკავშირდა.

**„პირველ რიგში, ყველაზე ელემენტარული და ყველაზე რთული არის ის, რომ პანიკა არ შეიძლება.**

**მეორე, უნდა დავრჩეთ იქ, სადაც ვართ. თუ ვართ შენობაში უნდა დავრჩეთ შენობაში, თუ ვართ გარეთ, არ შევიდეთ შენობაში. იმიტომ, რომ გადაადგილების ზონა რაც არის – კიბის უჯრედი ან ლიფტი, ამ დროს ყველაზე საშიშია.**

**მესამე, ეს არის იქ სადაც ვართ, თუ შენობაში ვართ, მყისიერად უსაფრთხო ადგილი ვიპოვოთ, რომელიც შეიძლება იყოს მაგიდის ქვედა ზონა, იატაკზე დავსხდეთ დივანთან, ისეთი კუთხეები ვიპოვოთ, რომ თეორიულად, თუ რამე გვეცემა, სანამ ჩვენამდე მოვა ის მძიმე საგანი, რომ სხვა ნივთმა შეაჩეროს.**

**მეოთხე, მიწისძვრის შემთხვევაში ხშირია ხოლმე ხანძარი. თუ ვახერხებთ ამას, მნიშვნელოვანია დენის გათიშვა, ბუნებრივი არის ჩაკეტვა. ამასობაში უკვე რამდენიმე წუთია გასული და ოფიციალური მინიშნებების დალოდება, რას გვირჩევს მთავრობა, რას გვირჩევენ პროფესიონალები"...**

დედამიწის შემსწავლელი ინსტიტუტის გეოგრაფიის დეპარტამენტის უფროსი ამბობს, რომ თურქეთის ეს მიწისძვრა მოხდა 2 დიდი ფილის და მესამე მიკრო ფილის საზღვარზე, ეს არის არაბეთი-აფრიკის ფილები და ანატოლიის მიკრო ფილა.

**„ეს სამი ფილა სადაც უერთდება ერთმანეთს, იქ მოხდა ეს მიწისძვრა და მოულოდნელი არ იყო. საკმაოდ აქტიური და კარგად შესწავლილი ზონაა. სეისმური რისკებიც, როგორც ჩანს, სწორად იყო შერჩეული. აღნიშნული საზღვრიდან ჩვენ შორს ვართ, მაგრამ ასე თუ ისე, მეწყრული ზონა ვართ. რაც ნიშნავს იმას, ძალიან დიდი საფრთხე არ გვემუქრება, მაგრამ ჩვენი შენობები არც თუ ისე კარგ მდგომარეობაშია. ამიტომ ჩვენთან შეიძლება სუსტი მიწისძვრა მოხდეს, მაგრამ მაგ სუსტმა მიწისძვრამ დააზიანოს შენობები. 2022 წელს 4,5 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა საქართველოში და 10 ათასზე მეტი შენობა დაზიანდა. დაახლოებით აქედან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რა მოგვივა ძლიერი მიწისძვრის შემთხვევაში,"** – აღნიშნა „კომერსანტთან" ლაშა სუხიშვილმა.

# სამშენებლო სტანდარტების ხარვეზებს მიწისძვრამ ფარდა ახადა

**6 თებერვალს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ თურქეთში დაღუპულთა სწრაფად მზარდმა რაოდენობამ გააჩინა კითხვები იმის შესახებ, თუ რამდენად გაამწვავა კატასტროფის შედეგები არაშესაფერისად აღსრულებულმა სამშენებლო სტანდარტებმა ქვეყანაში, რომლის ეკონომიკა დიდი ხანია მშენებლობას ზრდის სტიმულირებას ეყრდნობა. თურქეთმა შემოიღო ახალი სამშენებლო სტანდარტები, რომელიც მოითხოვს, რომ ახალი მშენებლობა იყოს მიწისძვრისადმი მდგრადი, განსაკუთრებით 1999 წლის იზმითის მიწისძვრის შემდეგ, რომლის დროსაც 17 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ეს ხშირად არაშესაბამისად სრულდება ქვეყანაში, სადაც შენობების ნახევარზე მეტი უკანონოდ არის აშენებული.**

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ექსპერტმა მიუთითა ორი მიწისძვრის სიმძიმეზე, მათ შედარებით პატარა სიღრმეზე და მიწისძვრის ტიპზე, რომელიც ე.წ. აღმოსავლეთ ანატოლიის რღვევის შედეგად წარმოიქმნება, სხვებმა მიუთითეს ცუდი მშენებლობების მტკიცებულებებზე, რამაც ათასობით ადამიანის სიკვდილი გამოიწვია.

**„ნომერ პირველი ფაქტორი შენობის ხარისხია",** – განაცხადა კატასტროფის მოდელირების კომპანია Temblor-ის ხელმძღვანელმა როს შტაინმა. პროფესორმა ჰენრი ბენგმა, ბორნმუთის უნივერსიტეტის კატასტროფების მართვის ცენტრის გეოლოგმა და ექსპერტმა, განაცხადა: ბევრი (მრავალსართულიანი) შენობა ჩამოინგრა, როგორც ბანქოს შეკვრა. ეს აჩვენებს, რომ შენობების უმეტესობას არ გააჩნდა შესაბამისი მახასიათებლები მიწისძვრის დროს მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება იან მეინი, ედინბურგის უნივერსიტეტის სეისმოლოგიის პროფესორი.

**„დაზიანებული შენობების ზოგიერთი სურათის დათვალიერებისას აშკარაა, რომ მათი უმეტესობა არ იყო შექმნილი იმისთვის, რომ გაეძლო ძალიან ძლიერ მიწისძვრებზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც კედლები და იატაკი ერთმანეთთან საკმარისად კარგად არ არის მიბმული და თითოეული სართული ვერტიკალურად იშლება ქვემოთ, რის შედეგადაც ბეტონის ფილების გროვა თითქმის არ არსებობს. ეს ნიშნავს, რომ შიგნით ვინმეს გადარჩენის შანსი ძალიან მცირეა.**

**უნდა არსებობდეს სეისმური კოდექსები ამის შესაჩერებლად, მაგრამ ისინი საკმარისად არ არის აღსრულებული.**

**2011 წელს მიწისძვრის შემდეგ, რომლის დროსაც ასობით ადამიანი დაიღუპა, თურქეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა დაღუპულთა დიდ რაოდენობაში ცუდი მშენებლობა დაადანაშაულა და თქვა: მუნიციპალიტეტებმა, მშენებლებმა და ზედამხედველებმა ახლა უნდა დაინახონ, რომ მათი დაუდევრობა მკვლელობაა. ქვეყნის არქიტექტორები და ქალაქმგეგმარებლები დიდი ხანია, რაც ხელისუფლებას მიუთითებდნენ, რომ სეისმურ აქტივობასთან დაკავშირებული სამშენებლო კოდექსები არასაკმარისად არის აღსრულებული და ხელ-ფეხს უხსნის უკანონო მშენებლობას, რაც უამრავ რისკთან არის დაკავშირებული.**

ექსპერტები ანკარას აფრთხილებენ, რომ უკანონო მშენებლობები მიწისძვრების განმეორების შემთხვევაში, თურქეთს კიდევ უფრო ფატალურ შედეგს მოუტანს.



## კორონას გამოექცნენ და მიწისძვრამ იმსხვერპლა

**თურქეთის ქალაქ ჰათაიში ოჯახის 7 წევრიდან, მაშველებმა მხოლოდ ერთი ბავშვის გადარჩენა შეძლეს. დაღუპულთა შორის 4 ბავშვია. ჰუილუღლუს ოჯახი მანამდე საუდის არაბეთში ცხოვრობდა, მაგრამ ისინი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ კვლავ თურქეთში დაბრუნდნენ.**

## თურქეთის 10 პროვინციაში სამთვიანი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

თურქეთის პრეზიდენტის განცხადებით, მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 3 549-მდე გაიზარდა, სტიქიისგან დაზარალებულ რეგიონებში კი 13 მილიონმდე ადამიანი ცხოვრობს.

**„თურქეთი არა მხოლოდ თავისი ისტორიის, არამედ მსოფლიო ისტორიის უდიდესი კატასტროფის წინაშეა. გადაუდებელი დახმარებისა და დამხმარე საქმიანობებისთვის, პირველ რიგში, ჩვენი ინსტიტუტების განკარგულებაში გამოვყავით 100 მილიარდი ლირის რესურსი. ამჟამად ჩვენი 53,317 სამძებრო-სამაშველო ოფიცერი და დამხმარე პერსონალი მუშაობს ნანგრევების ზონაში. რიცხვი ყოველ საათში იზრდება, ჯგუფებით თურქეთიდან და საზღვარგარეთიდან. ჩვენი ჟანდარმერია მუშაობს კატასტროფის ზონაში თავისი ათასობით პერსონალით, ასევე 26 სატვირთო თვითმფრინავით, ჩვენი სანაპირო დაცვის სარდლობა თავისი გემებითა და ნავებით",** – განაცხადა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა.

## 53 საათი – ნანგრევების ქვეშ

**ნანგრევებში 53 საათის შემდეგ, თურქმა მაშველებმა მოხუცი კაცის გადარჩენა შეძლეს. შემთხვევა ქალაქ ქაჰრამანმარაში მოხდა. მამაკაცი ნანგრევებიდან ამოყვანისას კონტაქტური იყო, იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

# ვაშენოთ ნელა და ხარისხიანად!...

## როდესაც საქმე ჩვენს უსაფრთხოებას ეხება

**შრომის ინსპექციამ 2022 წელს 1000-მდე სამშენებლო ობიექტი შეამოწმა და რიგი დარღვევების გამო უწყებამ საკუთარი მანდატი გამოიყენა და საჯარიმო სანქციები აამოქმედა.**

როგორც „კომერსანტთან" შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსის მოადგილემ მაია მიქაიამ განაცხადა, ჯარიმების მოცულობა დამოკიდებულია სამშენებლო კომპანიის ბრუნვის მოცულობაზე და მის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის ბრუნვიდან გამომდინარე და თითო დარღვევაზე 100-დან 1000 ლარამდეა.

ხოლო რაც შეეხება იმ სამშენებლო კომპანიებს, სადაც შრომის ინსპექციამ კრიტიკული შეუსაბამობა გამოავლინა და გადაწყვიტა მათი სამუშაო პროცესის შეჩერება და მათზე საქმიანობის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა მაია მიქაიას თქმით, რიგმა სამშენებლო კომპანიებმა მოახერხეს შეუსაბამობის გამოსწორება და მათ დიდ ნაწილს საქმიანობის გაგრძელებაზე შრომის ინსპექციის შესაბამისი ნებართვა უკვე აქვთ.

**„რაც შეეხება ზოგადად ინსპექტირების პროცესს ის მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება და ჩვენ ვახერხებთ როგორც გეგმურ ასევე არაგეგმურ ინსპექტირებებს.**

**დარღვევების რაოდენობა და კლასიფიცირება არის სხვადასხვაგვარი. თუ ჩვენ ვსაუბრობდით 2021 წელს დამსაქმებელს არ ჰქონდა საფრთხეების რისკების და იდენტიფიცირების დოკუმენტი, დღეს ეს დოკუმენტი ობიექტზე არსებობს, თუმცა გარკვეული ხარვეზები აქვს. ჩვენი მითითებების ფარგლებში კი ზუსტად ვეუბნებით თუ რა როგორ უნდა გამოასწორონ.**

**2022 წელს გაზრდილია იმ ობიექტების რაოდენობა და პროცენტულად ზრდის კარგი ტენდენცია გვაქვს, იმ ობიექტების რომლებმაც პირველივე მითითების, გაფრთხილების შემდეგ სრულად გაითვალისწინეს სამსახურის რეკომენდაციები. რაც მეტყველებს იმაზე, რომ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა, ნელ-ნელა ხდება დამსაქმებლის ყოველდღიური რეჟიმის ამსახველი",** – განმარტავს შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსის მოადგილე.

როგორც ცნობილია, შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი უკვე 2019 წლიდან ეხება ყველა ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს. შესაბამისად დამსაქმებლები ვალდებულნი არიან, დაიცვან ის მოქმედი რეგულაციები, რომელიც არსებობს კანონით და სხვა ტექნიკური რეგლამენტებით.

**„შემოწმების პროცესი ინსპექტორების მხრიდან ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება და მოწმდება ყველა ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის სამსახურის წარმომადგენლები ზედამხედველობას ახორციელებენ სამშენებლო სექტორზეც. დაახლოებით 1000-მდე სამშენებლო ობიექტის შემოწმება, მონიტორინგი განხორციელდება 2022 წელს. შესაბამისად მნიშვნელოვნად არის გაზრდილი იმ ობიექტების რაოდენობა, რომელთაც პირველსავე გაცემული მითითებების შესრულების შედეგად გამოასწორეს ის დარღვევები, რომელიც ფიქსირდებოდა. ბუნებრივია ეს პროცესი არის მნიშვნელოვანი",** – განმარტავს შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსის მოადგილე.

მაია მიქაია ამბობს, რომ 2022 წელსაც უბედური შემთხვევების რაოდენობის კლება გამოვლინდა.

ტრიუმფი



# მიწისძვრის წინ

**საქართველოს პარა ტაეკვონდოს ნაკრები გუნდის ტრიუმფალური გამარჯვებით აღინიშნა თურქეთში გამართული სტამბოლის ღია ჩემპიონატი და პრეზიდენტის ევროპის თასის გათამაშება.**

ორი ტურნირის მონაწილე 30 ქვეყანას შორის 7 ქართველი პარასპორტსმენის ნადავლია 10 მაღალი სინჯის მედალი – 6 ოქრო, 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

გოგა ხახალაშვილი და გელა ზარქუა სტამბოლის ღია ჩემპიონატის და პრეზიდენტის ევროპის თასის ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ.

სანდრო მეგრელიშვილმა და გიორგი ხიზანიშვილმა პრეზიდენტის ევროპის თასის ოქროს მედლები მოიპოვეს. გიორგი ხიზანიშვილი სტამბოლის ღია ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელიც გახდა, გიორგი ნიკოლაძემ კი პრეზიდენტის ევროპის თასის ვერცხლი აიღო.

ლია ჩაჩიბაია ორივე ტურნირის ბრინჯაოს მედლების მფლობელია. თურქეთში გამართული პრეზიდენტის ევროპის თასის და სტამბოლის ღია ჩემპიონატის ტურნირების მონაწილე ქვეყნებს შორის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები ფინალურ ბრძოლებში თურქეთის, უზბეკეთის, უნგრეთის, ირანის უძლიერეს მოწინააღმდეგეებს შეხვდნენ და გადამწყვეტ ბრძოლებში გამარჯვება მოიპოვეს.

# ვულოცავთ!

**საქართველოს ნაკრებისა და იტალიის ნაპოლის კაშკაშა ვარსკვლავს, ღირსეული ოჯახის ღირსეულ შვილს, საფიცარი სამშობლოს საამაყო დესპანს ევროპაში**



## ხვიჩა კვარაცხელიას

**ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ სადებიუტო სეზონის აღნიშვნას სკუდეტოს მოგებითა და წარმატებით ჩემპიონთა ლიგაში.**

**დიდი მადლობა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელს ლუჩანო სპალეტის თვითნაბადი ქართველი ტალანტის ნდობისა და დაფასებისათვის.**

**სოსო ნაჟოფია,**
**ფეხბურთის 90 წლის გულშემატკივარი**

ლეგიონერი

# მეტი რაღა ქნას?

ვალენსიურმა გამოცემა deportevalenciano-მ გიორგი მამარდაშვილის შესახებ წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ თანაგუნდელების ცუდი თამაშის გამო გიორგის შრომა არ უფასდება და გუნდს ქულების მოპოვებაში საბოლოო ჯამში მაინც ვერ ეხმარება.

**„გიორგი მამარდაშვილი „ვალენსიაში“ მიმდინარე სეზონში გამორჩეული მოთამაშეა, თუმცა თანაგუნდელების ცუდი თამაშის გამო მისი ნამუშევარი დაუფასებელია. მასთან მიმართებაში შეიძლება ორი რამ იყოს მკაფიო: ერთი მხრივ მისი თამაში ძალიან კარგია და მისი წყალობით გუნდი თავს არიდებს მატჩებში დიდი ანგარიშით წაგებებს, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დაცვის სუსტი თამაში ქართველს არ ეხმარება და ბოლომდე ბრწყინვალებაში ხელს უშლის.**

**ყოველ შემთხვევაში, მამარდაშვილი ამ გუნდში უპირობო პირველი ნომერია და მისი რეფლექსები ლა ლიგის საუკეთესო მეკარეების ტოლფასია, „ვალენსიას“ კი გარანტირებული მეკარე და მომავლის ეკონომიკური აქტივი ჰყავს.**



**სამწუხაროა, რომ მამარდაშვილის სეივები საკმარისი არაა ქულების დასაგროვებლად, რადგან გუნდმა ბოლო ექვს თამაშში მხოლოდ ქულა მოიპოვა და ეს დრამატული მაჩვენებელია.**

**გარდა მოგერიებებისა, მამარდაშვილი თამაშის სხვა ასპექტებშიც იხვეწება, მაგრამ ხანდახან ჩანს, რომ მაგალითად, შორეული დარტყმების დროს უფრო მეტის გაკეთება შეეძლო.**

**მისი დიდი მინუსი პენალტებია. „ვალენსიამ“ ორჯერ წააგო თერთმეტმეტრიანების სერია და მან ერთი დარტყმაც ვერ მოიგერია.**

**თუმცა, მთლიანობაში დაცვითი ბალანსი გუნდის ყველა რგოლზეა დამოკიდებული და გუნდმა ამ კუთხით უნდა მოუმატოს, რადგან მამარდაშვილი ისედაც ბევრ დარტყმას იგერიებს და მეტს ვერ გააკეთებს“,** – წერს deportevalenciano.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მამარდაშვილმა მიმდინარე სეზონში ლა ლიგაში 20 მატჩი ჩაატარა და 24 გოლი გაუშვა, კარი კი მშრალად სამჯერ შეინახა.

კარატე

# უკვე – დროშაც




EKF-ის გადაწყვეტილებით 2024 წელს ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი საქართველოში ჩატარდება, რასთან დაკავშირებითაც სპორტული კარატეს ეროვნულ ფედერაციას სიმბოლური დროშა გადაეცა: **„საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია მოხარულია გაცნობოთ, რომ EKF-ის გადაწყვეტილებით, 2024 წელს ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი საქართველოში ჩატარდება. ამის დასტურად სსკეფ პრეზიდენტს ბატონ თემურ გიგნაძეს ოფიციალურად გადაეცა დროშა. გილოცავთ ყველას ამ სასიხარულო ინფორმაციას. ამასთან, კიდევ ერთხელ გვინდა დავადასტუროთ და გაცნობოთ, რომ სსკეფ წარმოადგენს WKF-ის და EKF-ის ერთადერთ უფლებამოსილ, ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველოში.“** – წერია საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის განცხადებაში.

ევროპის გასული ახალგაზრდული ჩემპიონატი რამდენიმე დღის წინათ კვიპროსში დასრულდა, სადაც საქართველოს ნაკრების ორმა წარმომადგენელმა შეძლო ოქროს მედლის მოპოვება. კუმიტეში 61 და 67 კგ. წონით კატეგორიებში იკა სულამანიძემ და უტა ფონიავამ ასპარეზობა ტრიუმფით დაასრულეს.

ოვალური ბურთი

# ისევ მე-13

**მსოფლიო რაგბიმ წლის პირველი სანაკრებო მატჩების შემდეგ რეიტინგი განაახლა, რომელშიც საქართველოს ნაკრების პოზიცია უცვლელი დარჩა.**

„ბორჯღალოსნებს“ გერმანიასთან გამარჯვებით სარეიტინგო ქულები არ მოემატა და ისევ მე-13 ადგილზე იმყოფება 75.19 ქულით. ლევან მაისაშვილის გუნდი მცირედით ჩამორჩება იტალიის ნაკრებს, ხოლო ფიჯის უსწრებს. რეიტინგის სათავეში ისევ ირლანდიის გუნდია, რომელსაც კვალში საფრანგეთის, ახალი ზელანდიისა და საფრანგეთის ნაკრებები უდგანან. აღსანიშნავია, რომ შოტლანდია ორი საფეხურით დაწინაურდა და მეხუთე პოზიციაზეა, ხოლო ინგლისისა და ავსტრალიის ნაკრებები თითო პოზიციით დაქვეითდნენ. საქართველოს მორაგბეთა გუნდი რაგბი ევროპის მეორე ტურში 11 თებერვალს სტუმრად ნიდერლანდების ნაკრებს შეხვდება. მსოფლიო რაგბის რეიტინგში ცვლილებები სწორედ მომდევნო უიქ-ენდზე დაგეგმილი მატჩების შემდეგაა მოსალოდნელი.

აუზში

# წყალს რომ ენა ჰქონდეს

**თბილისის დინამომ წყალბურთელთა ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მე-7 მატჩი ოლიმპიკის აუზში იტალიის პრო რეკოსთან, შარშანდელის მსგავსად, იმავე ანგარიშით – 3:13 დათმო, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა თავიდანვე განწირულნი ვიყავით.**

თავად განსაჯეთ: მეტოქე ევროპის უძლიერესი კლუბია და 110(!) წლის ბიოგრაფია აქვს. მან კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირი 10-ჯერ (ბოლოს – შარშან), ხოლო სუპერთასი – 8-ჯერ მოიგო. აპენინების ლიგის 34-გზის გამარჯვებულმა ქვეყნის თასი 16-ჯერ მოიპოვა, წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში კი ჯგუფური რაუნდის 6 შეხვედრიდან 5 ჰქონდა მოგებული და 15 ქულით სატურნირო ცხრილს საბერძნეთის ოლიმპიაკოსთან და კატალონიის ბარსელონეტასთან ერთად ლიდერობდა. დავძენთ, რომ ჩვენი გუნდიდან სტუმართა კარში ბურთები ტყეშელაშვილმა, ვლასოვიჩმა და პიესივაცმა გაიტანეს, მორიგ უთანასწორო ბრძოლას კი პრო რეკოსთან მარტში იტალიაში გავმართავთ.

მოვლენა

# მეფური ციფრები

**ლებრონ ჯეიმსმა „ოკლაჰომა სითი თანდერის“ წინააღმდეგ კარიერაში 38 390-ე ქულა ჩააგდო, კარიმ აბდულ-ჯაბარის რეკორდი მოხსნა და NBA-ის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო მექულე გახდა.„ლოს ანჯელეს ლეიკერსისა“ და „ოკლაჰომა სითი თანდერის“ მატჩის მესამე პერიოდის დასრულებამდე 10.9 წამით ადრე ლებრონ ჯეიმსმა ზუსტი ორქულიანი შეასრულა, რასაც დარბაზში და მთელს მსოფლიოში დიდი ოვაციები მოჰყვა. ტელემაყურებლებმა და დარბაზში მსხდომმა საზოგადოებამ ისტორიული მომენტი იხილა. რეკორდი, რომელიც დაახლოებით 40 წლის წინათ იყო დამყარებული, მოიხსნა.**

რა თქმა უნდა, ლებრონის სროლის შემდგომ მატჩი რამდენიმე წუთით შეჩერდა. ჯეიმსს ჯერ თანაგუნდელებმა და მეტოქეებმა მიულოცეს, შემდეგ კი მოედანზე თვით რეკორდის წინა მფლობელი კარიმ აბდულ-ჯაბარი გამოვიდა, რომელმაც პირადად მიულოცა ლებრონს მიღწეული წარმატება და სარეკორდო ქულის მომტანი ბურთი სიმბოლურად გადასცა მას. ჯეიმსმა სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა და შეხვედრა მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ განახლდა.




ლებრონ ჯეიმსმა ქულების ეს რაოდენობა 3 სხვადასხვა გუნდში თამაშისას მოაგროვა. მისი კარიერა „კლივლენდ კავალიერსში“ დაიწყო. იგი 2003 წელს დრაფტის პირველ ნომრად აირჩიეს და „კავსის“ რიგებში 7 სეზონი გაატარა. 2011 წელს ის სათამაშოდ „მაიამი ჰითში“ გადავიდა, 3 წლის შემდეგ კი უკან, კლივლენდში დაბრუნდა. „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ჯეიმსი 2018 წელს შეუერთდა და მას შემდეგ ამ გუნდის ღირსებას იცავს.

20-წლიან კარიერაში ლებრონი NBA-ის ჩემპიონი 4-ჯერ გახდა. მას ასევე ოთხჯერ აქვს მოპოვებული როგორც რეგულარული სეზონის, ასევე ფინალების საუკეთესო მოთამაშის ტიტული.

საბოლოოდ „ლოს ანჯელეს ლეიკერსისა“ და „ოკლაჰომა სითი თანდერის“ მატჩი სტუმართა გამარჯვებით 130:133 დასრულდა. ლებრონ ჯეიმსმა 33:56 წუთში 38 ქულა, 7 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

# უპრეცედენტო პორტალი – ქართული თეატრალური საგანძური




**კინოთეატრ „კავეაში" საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერილი პროექტის, „თეატრალური საგანძურის", წარდგინება გაიმართა.**

სამინისტროს ინიციატივით, ღონისძიება დიდი ქართველი რეჟისორის, თეატრის მკვლევრის, პედაგოგის, კინომსახიობთა თეატრის დამაარსებლის, მიხეილ თუმანიშვილის, დაბადების დღეზე ჩატარდა და მას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, თბილისისა და რეგიონების სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები, რეჟისორები, თეატრის კრიტიკოსები და კულტურის სფეროს სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტის ფარგლებში, კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, შპს „პრაიმ შოუს სტუდიის" გუნდი 2022 წლიდან მაღალი ხარისხით იღებს თბილისსა და რეგიონებში მოქმედი სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო თეატრების სპექტაკლებს. მაყურებელს სპექტაკლების ნახვა შეუძლია ვებგვერდზე www.theaters.ge.

პირველ ეტაპზე პორტალზე ატვირთულია სპექტაკლები: „უსახური" (რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილი), „შავი ფრინველი" (რეჟისორი გეგა გაგნიძე), „ხალდე" (რეჟისორი გიორგი სიხარულიძე), „ჰარპაგონი" (რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა), „მოჩვენებები" (რეჟისორი საბა ასლამაზიშვილი), „რესპუბლიკა გურია" (რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილი), „მახინჯი იხვის ჭუკი" (რეჟისორი ნინო მაღლაკელიძე), „სამანიშვილის დედი(ს)ნაცვალი" (რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი), „სტუმარი" (რეჟისორი დავით საყვარელიძე) და ნიკოლოზ საბაშვილის თოჯინური სპექტაკლი ,,იავნანამ რა ჰქმნა?!"

სხვა სპექტაკლები ვებგვერდზე ეტაპობრივად აიტვირთება.

გარდა სპექტაკლების მაღალი ხარისხის ჩანაწერებისა, ვებგვერდზე გამოქვეყნდება თეატრისა და კინოს მსახიობებთან ინტერვიუები, რომლებშიც ისინი საკუთარი ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ეპიზოდებზე ჰყვებიან.

პორტალზე უკვე შეგიძლიათ ნახოთ **ბერტა ხაფავას, იმედა კახიანის, მაკა გოგიჩაიშვილისა** და **ნუგზარ ყურაშვილის** ვიდეოჩანაწერები. ცნობილი ქართველი მსახიობების ინტერვიუების უდიდესი ნაწილი სხვადასხვა ტელევიზიის არქივებშია დაცული და საზოგადოებას მათზე ხელი არ მიუწვდება. ამასთანავე, ახალ პორტალზე განთავსებული ჩანაწერების უმეტესობა ეხება კონკრეტულ თემას ან მონაკვეთს მათი ცხოვრებიდან. ვებგვერდს ეტაპობრივად დაემატება ინფორმაცია თეატრების შესახებ, განთავსდება აფიშები, განცხადებები პრემიერების შესახებ და სხვ.

ვებგვერდი ხელმისაწვდომია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მცხოვრები ქართული თეატრით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

პროექტი უპრეცედენტოა, რადგან აქამდე არ არსებობდა პლატფორმა, სადაც თანამედროვე ქართული სპექტაკლების სრული და მაღალი ხარისხის ჩანაწერების ნახვა იქნებოდა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ „პრაიმ შოუ სტუდიის" გუნდს მსგავსი ვიდეოების გადაღების დიდი გამოცდილება აქვს. გარდა სატელევიზიო გადაცემებისა და სიუჟეტების მომზადებისა, გუნდს განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი.

მათი გადაღებულია 2021-2022 წლებში დადიანების სასახლეში გამართული საშობაო მეჯლისები, საქველმოქმედო კონცერტი ქართველი და უკრაინელი არტისტების მონაწილეობით. მათვე შექმნეს ქართული კულტურის ვიდეოალმანახი და სხვ.

# დამთავრდა მეზვერის და ფარისევლის შვიდეული



**12 თებერვალს უძღები შვილის კვირაა, რომელსაც საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესია იხსენიებს დიდი მარხვის მოსამზადებელ პერიოდში.**

...სახარების მიხედვით, ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. უმცროსმა შვილმა სთხოვა მამას, მიეცა მისთვის თავისი წილი. მამამ გაუყო მათ თავისი ქონება... უმცროსმა ვაჟმა შეკრიბა ყველაფერი, შორეულ მხარეს გაემგზავრა და იქ გაფლანგა მთელი თავისი ავლადიდება, როდესაც იგი გონს მოეგო, თქვა: „მამაჩემის მოჯამაგირეებს თავზე საყრელად აქვთ პური, მე კი აქ შიმშილით ვკვდები, ...არა ვარ ღირსი შენი ძე მერქვას, მოჯამაგირედ დამიყენე".

გავიდა ხანი, როდესაც დაბრუნებული შვილი მამამ დაინახა, შეებრალა იგი, შვილი გამოიქცა, კისერზე შემოეჭდო და კოცნიდა მას. მამა მიუბრუნდა თავის მონებს: „მოიტანეთ სამოსელი პირველი, შემოსეთ იგი, გაუკეთეთ ბეჭედი და ხამლი ჩააცვით; დაკალით ნასუქი ხბო, ვჭამოთ და ვიმხიარულოთ, რადგან ძე ჩემი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა.

საგულისხმოა, რომ ეკლესიის წიაღში დასაბრუნებლად კი აუცილებელია სინანულის ისეთი განცდა, როგორიც უძღებ შვილს ჰქონდა.

**გიული ლიპარტია**



# ქართველმა მაშველებმა ნანგრევებიდან ახალგაზრდა ქალი ამოიყვანეს

**ქართველმა მაშველებმა თურქეთში სამაშველო ღონისძიების დროს ნანგრევებიდან ახალგაზრდა ქალი ამოიყვანეს,** – ამის შესახებ შსს-ის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორი ქეთევან კოვზიაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

**„ჩვენი ბიჭების სახელზე კიდევ ერთი გადარჩენილი სიცოცხლეა. მეხანძრე-მაშველებმა თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ადიამანში, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამაშველო ღონისძიების დროს ნანგრევებიდან ახალგაზრდა ქალი ამოიყვანეს, რომელიც კონტაქტურ მდგომარეობაში სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი"...**

# ქუთაისში მსახიობი და რეჟისორი რეზი ქაროსანიძე გარდაცვლილი იპოვეს



**ქუთაისში, მესხიშვილის თეატრის სცენაზე მსახიობი და რეჟისორი რეზი ქაროსანიძე გარდაცვლილი იპოვეს. ადგილზე სამართალდამცველები მუშაობენ. როგორც ახალი ამბების სააგენტო Pia.ge-ს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს და 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე უცნობია მომხდარის დამატებითი დეტალები.**

# წარსულში მოგზაურობა შესაძლებელი უნდა იყოს, თუკი სამყარო ბრუნავს!!!

**როგორც ჩანს, წარსულში მოგზაურობა შედარებით ადვილი უნდა იყოს. ამისთვის საჭიროა სამყარო ბრუნავდეს. სახელგანთქმული მათემატიკოსი კურტ გიოდელი ალბერტ აინშტაინის მეგობარი და პრინსტონში მეზობელი იყო. მას წარმოუდგენლად აინტერესებდა აინშტაინის ფარდობითობის ზოგადი თეორია, რომელიც იყო და რჩება გრავიტაციული ძალის თანამედროვე ფორმულირებად.**



ეს თეორია მატერიისა და ენერგიის არსებობას სივრცისა და დროის გამრუდებასთან აკავშირებს და შემდეგ, ამ გამრუდებას აკავშირებს მატერიისა და ენერგიის ქცევასთან.

გიოდელს აინტერესებდა, იძლეოდა თუ არა ფარდობითობა წარსულ დროში მოგზაურობის საშუალებას. ითვლებოდა, რომ აინშტაინის თეორია სივრცისა და დროის ბუნების საბოლოო ჩარჩო უნდა ყოფილიყო და როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, წარსულ დროში მოგზაურობა შეუძლებელია. შესაბამისად, გიოდელმა ჩათვალა, რომ ზოგადი ფარდობითობა ამას ავტომატურად კრძალავდა.

შემდეგ გიოდელმა აღმოაჩინა, რომ სინამდვილეში, ზოგადი ფარდობითობა შესანიშნავად ჯდება წარსულ დროში მოგზაურობასთან. ამისათვის საჭიროა სამყაროს ბრუნვა.

საკუთარი ხედვის დასადასტურებლად, გიოდელმა სამყაროს შედარებით მარტივი, ხელოვნური მოდელი შექმნა, რომელშიც სამყარო ბრუნავს და შეიცავს მხოლოდ ერთ ინგრედიენტს. ეს ინგრედიენტი გახლავთ უარყოფითი კოსმოლოგიური მუდმივა, რომელიც ეწინააღმდეგება ბრუნვის ცენტრიდანულ ძალას, რათა სამყაროს სტატიკურობა შეინარჩუნოს.

გიოდელი მივიდა დასკვნამდე, რომ თუ ამ მბრუნავ სამყაროში კონკრეტულ ბილიკს გაუყვები, შეგიძლია წარსულში აღმოჩნდე. ამისათვის წარმოუდგენლად შორს წასვლა დაგჭირდებათ, მილიარდობით სინათლის წლის მანძილზე, მაგრამ ამის გაკეთება შესაძლებელია.

მოგზაურობისას სამყაროს ბრუნვაში ჩართული აღმოჩნდებით. ეს კოსმოსის მხოლოდ მატერიის ბრუნვა კი არ გახლავთ, არამედ სივრცისა და დროისაც. არსებითად, სამყაროს ბრუნვა ისე ძლიერ შეცვლიდა თქვენს პოტენციურ გზებს წინ, რომ ეს ბილიკები ისევ უკან, იქ გადმოიხლართებოდა, საიდანაც დაიწყეთ.

მოგზაურობას დაიწყებდით, მაგრამ ვერასოდეს იმოძრავებდით სინათლის სიჩქარეზე სწრაფად; და საკუთარ თავს აღმოაჩენდით უკან, იქ, საიდანაც მოგზაურობა დაიწყეთ, მაგრამ საკუთარ წარსულში.

წარსულში მოგზაურობის შესაძლებლობა პარადოქსებს ქმნის და ეწინააღმდეგება ჩვენს აღქმას მიზეზობრიობის შესახებ. საბედნიეროდ, ყველა დაკვირვება მიუთითებს, რომ სამყარო არ ბრუნავს და შესაბამისად, დაცული ვართ წარსულ დროში მოგზაურობის გიოდელისეული პრობლემისგან.

თუმცა, დღემდე გამოცანად რჩება, თუ რატომ უნთებს ზოგადი ფარდობითობა მწვანე შუქს ამ ერთი შეხედვით შეუძლებელ ფენომენს. ზოგადი ფარდობითობის არასრულყოფილების დასამტკიცებლად, გიოდელი მბრუნავ სამყაროს იყენებდა და არ არის გამორიცხული, ის მართალიც იყოს.

**მომზადებულია Universe Today-ის მიხედვით.**

**მიხეილ ჭაბუკაშვილი**

# ვულოცავთ ბატონ ზაურ ამილახვარს!



კუს ტბის საზოგადოების დამსახურებული, გულწრფელი მეგობრობით გამორჩეული, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივის ყველა წევრი ვულოცავთ ჩვენს მეგობარს ზაურ ამილახვარს დაბადების სამოცდამეთექვსმეტე წლისთავს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ, ჯანსაღ სიცოცხლეს, ბედნიერებას, წინსვლასა და წარმატებებს ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და ყველა ახლობელთან ერთად.

ზაურ ამილახვარი გახლავთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურებში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე და მოღვაწეობდა სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

დააარსა ღია უნივერსიტეტი (დღეს „ალტე“ უნივერსიტეტი), პროფესიული სასწავლებელი და საშუალო სკოლა.

ბატონი ზაური დღეს სამეცნიერო საქმიანობაში აქტიურადაა ჩართული.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებას მომავალ საქმიანობაში.



# „ონლაინ თეატრალური ეტიუდები“

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართა ინკლუზიური პროექტის – „ონლაინ თეატრალური ეტიუდები“,** – წარდგინება. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებულ შშმ ახალგაზრდებთან ურთიერთობით შეირჩა 10 სამეგობრო/ოჯახი, რომელთაც აერთიანებთ თეატრის, სცენის, საზოგადოდ, ხელოვნების სიყვარული. პროექტის ფარგლებში დაიდგა 10 თეატრალური ეტიუდი შშმ პირთა და მათი „სამეგობროების“ მონაწილეობით. შეიქმნა ამ ეტიუდების ვიდეოვერსია და ჩანაწერები განთავსდა ონლაინპლატფორმაზე. პროექტის ხელმძღვანელია რუსუდან ბოლქვაძე.

**ცნობისთვის: 2022 წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ კონკურსის – „ინკლუზიური სახელოვნებო პროექტების ხელშეწყობა“ – ხუთი გამარჯვებული პროექტი გამოავლინა. კონკურსის ბიუჯეტი იყო 120 000 ლარი. „ონლაინ თეატრალური ეტიუდები“ ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტია, რომელშიც მონაწილეობდა 26 ბენეფიციარი, მათ შორის – ცხრა შშმ პირი.**

# „ხაჭაპური - ქართული კლასიკა“

**მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული გამოცემის ჟურნალისტმა ჯენიფერ ჰათამმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმოგზაურა. სტატიის ავტორი National Geographic-ის ონლაინ მკითხველს საქართველოს ტურისტულ პოტენციალს და კულინარიას აცნობს.**

სტატიაში საქართველოს გასტრონომიული ასოციაციების, კულინარიული გიდების, გადაცემების წამყვანების, შეფებისა და კვების ობიექტების ხელმძღვანელების ინტერვიუებია ქართული სამზარეულოს შესახებ.

**„თბილისში ხაჭაპურის უკეთ შესასწავლად ჩამოვედი. დაგემოვნების შემდეგ მივხვდი, რომ რამდენიმე დღე არ მეყოფოდა და ხაჭაპურის სხვადასხვა ვერსიის გასაცნობად უფრო მეტი დრო დამჭირდებოდა. საქართველოში ხაჭაპურის თითქმის 50 სახეობაა. ზოგიერთი მრგვალია, ზოგიც კვადრატი, შეიძლება იყოს ღია, დახურული ცომის, რბილი ან ფენოვანი. ხაჭაპური მზადდება როგორც ღია, ასევე დახურულ ღუმელში, შეზავებული ხორცთან, მწვანილთან, კარტოფილთან ან ხახვთან. შეთანხმებული წესები არ არსებობს“,** – წერს ჯენიფერ ჰათამი.

National Geographic-ის ჟურნალისტის თქმით ქართველ კულინარებს ხაჭაპურის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად გამოცხადება სურთ. ინფლაციის დასაანგარიშებლად კი საქართველოში ხაჭაპურის ინდექსსაც იყენებენ.

**„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ISET ხაჭაპურის ყოველთვიურ ინდექსს ადგენს, ამ მიზნით აკვირდებიან იმერული ხაჭაპურის ინგრედიენტების ღირებულებას, რომელიც მოიცავს ფქვილს, ყველს, კარაქს, რძეს, კვერცხს და საფუარს“,** – წერს ჯენიფერ ჰათამი და მკითხველს ხაჭაპურის მომზადების რეცეპტს სთავაზობს, აგრეთვე იმ ადგილებს, თუ სად შეიძლება ღამის გათევა თბილისში. ხაჭაპურთან ერთად National Geographic-ის სტატიაში სხვა ქართული კერძები ფხალი, ხინკალი, საცივი და ლობიოა აღწერილი.




# რომის პაპი მზადაა, ზელენსკის და პუტინს შეხვდეს



**რომის პაპი ფრანცისკე აცხადებს, რომ მზადაა, ვოლოდიმირ ზელენსკის და ვლადიმერ პუტინს შეხვდეს,** – ინფორმაციას იტალიური მედიასაშუალება „კორიერე დელა სერა“ ავრცელებს. ფრანცისკემ ასევე განმარტა, რატომ არ ჩავიდა კიევში. მისი თქმით, იმ პერიოდში ამის შესაძლებლობა არ იყო, თუმცა ის ომის დაწყებიდან მეორე დღესვე მივიდა რუსეთის საელჩოში.

**„მე მსურდა მოსკოვში ჩასვლა პუტინთან სასაუბროდ, და, მე მგონი, გაჩნდა პატარა ფანჯარა, მაგრამ მინისტრმა ლავროვმა მითხრა, – მოგვიანებით ვნახოთო. ეს ჟესტი არ იყო ჩაფიქრებული და იმის გამეორება, რაც არ იყო ჩანაფიქრში, შეუძლებელია“,** – აცხადებს რომის პაპი. მისივე თქმით, ომი პუტინის ხელშია და მისი დასრულება სამხედრო ძალების გაყვანით, ცეცხლის შეწყვეტით არის შესაძლებელი, შემდეგ კი უნდა გაიმართოს მოლაპარაკება გრძელვადიან შეთანხმებაზე.

# ბიონსემ „გრემის“ რეკორდი დაამყარა

**ლოს-ანჯელესში „გრემის“ დაჯილდოების ცერემონია ჩატარდა. ღონისძიებაზე ბიონსე პირველი შემსრულებელი გახდა, რომელმაც 32 გრემი მოიპოვა. მან უნგრელ-ბრიტანელი დირიჟორის, ჯორჯ სოლტის შედეგი გააუმჯობესა, რომელიც 31-ჯერ იყო დაჯილდოებული.**

წლის ალბომი ჰარი სტაილსის Harry's House-ი გახდა, საუკეთესო პოპ-დუეტად სემ სმიტისა და კიმ პეტრასის Unholy დაასახელეს. ამგვარად პეტრასი პირველი ტრანსგენდერი ქალი გახდა, ვინც ეს ჯილდო მიიღო. ლიზომ გაიმარჯვა ნომინაციაში „წლის ჩანაწერი“ . წლის სიმღერის ჯილდო კი ბონი რაიტს გადაეცა, სიმღერისთვის Just Like That.

# რამზან კადიროვი პოლონეთს ემუქრება

ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი ამჯერად პოლონეთს ემუქრება დენაციფიკაციით და დემილიტარიზაციით. მისი თქმით, როცა რუსეთი უკრაინაში ე.წ. სპეციალურ სამხედრო ოპერაციას წარმატებით დაასრულებს, შემდეგი ქვეყნის ჯერი დადგება. კადიროვის თქმით, მის პირად პრიორიტეტებში პირველი – პოლონეთია.

**„ახლა უკვე პოლონეთიც ეხვეწება შტატებს იარაღს. ამ გადაწყვეტილების შესახებ პოლონეთის პრეზიდენტის აპარატის საერთაშორისო პოლიტიკის ბიუროს ხელმძღვანელმა, მარჩინ პშიდაჩმა გაავრცელა ინფორმაცია. უკრაინის მხარდაჭერის ფარგლებში, ვარშავამ ისიც კი მოახერხა, ამოეწურა საკუთარი სამხედრო რესურსები და ახლა, ის სასოწარკვეთაშია.**

**რა იქნება, თუ სპეციალური სამხედრო ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ რუსეთი შემდეგ ქვეყანაში დაიწყებს დენაციფიკაციას და დემილიტარიზაციას? უკრაინის შემდეგ რუკაზე ხომ პოლონეთია! არ დავმალავ, პირადად მე მაქვს ასეთი განზრახვა და არაერთხელ განვაცხადე, რომ სატანიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მთელ ევროპაში უნდა გაგრძელდეს და პირველ რიგში, პოლონეთის ტერიტორიაზე“,** – წერს კადიროვი Telegram-ზე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 13 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6459; ევრო - 2.8364;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1746;
100 რუბლი - 3.7305; თურქული ლირა - 0.1405;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5564;
1000 სომხური დრამი - 6.6917

**ამინდი 9 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -4, | დღე +5 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -8, | დღე +2 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -1, | დღე +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე +3 |
| თბილისი: | ღამე | -1, | დღე +5 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge